კვალი

XI. ყოველკვირეული გაზეთი. XI.

№ 3 კვირა, 12 იანვარი 1903 წლისა. № 3

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სასპიტრის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: მეურნე და მეურნეობა, გ. მარშალაძისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—1902 წელი უცხოეთში დ. კოლხიდელისა.—ჩაიზე, მოთ. კოდრა-პეტრიასი.—ქართული იქითური, (ფელეტონი) ი. მარჯანიძისა.—გასული წელი რუსეთში, ა. ზ—ისა.—სატრფოს, პოემა გ. ნადირაშვილისა.—სახალხო თეატრი, ი. ც—ძესი.—წერილი რედ. მიმართ.—განცხადებანი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კვალი"

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლისფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ".

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველსენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

მეურნე და მეურნეობა.

VI.

როგორც მეხუთე წერილში გავარკვიეთ, სხვადასხვა ისტორიული გარემოებით მიწა-ადგილი ჩამოერთვა ხალხს, მიწის მუშაკთ, და გადაეცა მოწინავე წოდებას. ამნაირათ წარმოიშვა ერთი მხრით მიწათმოქმედნი და მეორე მხრით მიწათმფლობელნი (ამათ შორის იგულისხმება გარდა თავად-აზნაურობისა სასულიეროო წოდება წინეთ და ხაზინა დღეს). მაშასადამე მათ ხელში მოიქცა მიწის მონოპოლიაც.

რა არის მონოპოლია?

მონოპოლია არის ისეთი მდგომარეობა, როცა ერთ ან რამდენიმე პირს ეკუთვნის ყველასათვის საჭირო ნივთი და ამ ნივთის სარგებლობაში მათ მოცილე არავინ ყავს. მაგ., შიდაგუბერნიებში მთავრობამ შემოიღო არაყის მონოპოლია. ეს ნიშნავს იმას, რომ მარტო მას შეუძლია ამ სასმელის გაყიდვა და სარგებლობის ნახვა, სხვა ამაში ვერ ჩაეზიარება. სწორედ ასე და კიდევ უფრო მკაცრია მიწის მონოპოლია. შეიძლება ვინმემ არაყი ჩუმათ გამოხადოს, გაყიდოს და მით ხაზინის მონოპოლია შეასუსტოს. მაგრამ არავის ძალუძს თუნდაც ერთი მტკაველი მიწა შექმნას და მით მიწის მონოპოლისტთ შეეცილოს. მიწა ბუნებრივი მოვლენაა, იმის არც მოკლება შეიძლება და არც მომატება, ვისიც ხელში ის არის—მის ხელშია არა მარტო მიწა, არამედ წყალი, პური, მზის სხივები—ერთი სიტყვით მთელი ბუნება. ამ ბუნების გარეშე ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია. მისთვის საჭიროა, პირველათ, ფეხის დასადგომი მიწა, საცხოვრებელი სივრცე, სახლ-კარი; მეორეთ, ნიადაგი, სამუშაო სივრცე, საკვები ადგილი. ის უეჭველათ უნდა დაეპატრონოს დედამიწის ერთ პაწია ნაწილს, რომ შესძლოს ჰაერის სუნთქვა, მზის სხივებით სარგებლობა, თავისრჩენა. და თუ ეს მიწა უმცირესობის ხელშია—ცხადია ის ყოფილა უდიდესი და უძლიერესი მონოპოლისტი. სხვა ასეთი მონოპოლია ქვეყნათ არ არსებობს. მრეწველნი რაგინდ შეძლებულნი და დიდი ფაბრიკების პატრონნი იყვნენ, მონოპოლისტებათ მაინც ვერ იქცევიან, რადგან ახალი ფაბრიკების გახსნა და გამრავლება შესაძლებელია. შეიძლება ზოგმა ხელთ იგდოს რაიმე ახალი გამოგონების მონოპოლია, მაგრამ რამდენიმე ხანს მერე ეს მონოპოლია უქმდება და გამოგონებაც ყველას ხვედრათ ხდება.

მიწის მონოპოლია დაფუძნებულია, მაშასადამე, მიწის

ბუნებრივ მოვლინებაზე, მის მუდმივობაზე. ხოლო ის, რაც ბუნების მოწყალებაა, კაცის შრომით შექმნილი ველარ იქნება და თავითავათ არც რაიმე ღირებულებას წარმოადგენს. ცხადია, მიწის მონოპოლია ნიშნავს მონოპოლიას ბუნების ძალის, ბუნების სიმდიდრისას, ისე როგორც ის სამყაროში შეზავებულა, იმას ფასი არ აქვს. ფასი ეძლევა მას შემდეგ, რაც ამ ბუნების ძალას ადამიანი ხმარობს და შრომის იარაღათ იყენებს. აქ ფასი აქვს იმ მიწას, რომელიც შრომის ნაყოფია და არა იმას, რომელიც ბუნებამ შექმნა. მონოპოლიათაც მაშინ გადაიქცა მიწა, როცა მას შრომამ ფასი მისცა, ე. ი. როცა ხალხი გამრავლდა, შრომა განაყოფიერდა და მიწის მოთხოვნილებამ იმატა. კაცობრიობის კულტურული ზრდა შეიქმნა მიზეზათ, მიწა შრომის წარმომადგენელთ გამოსცლოდათ და სხვების ხელში გადასულიყო. მაშასადამე ამათ მიწა შეიძინეს არა იმით, რომ ნიადაგს რაიმე ღირებულება შემატეს, არამედ იმით, რომ ეს ღირებულება მას სხვამ შემატა და მით ის სახარბიელო განძი შეიქმნა. აქ არის მონოპოლია სწორედ იმ მიწის, რომელიც შრომამ შექმნა, ეს შრომის მონოპოლიაა. მიწის პატრონს შეუძლია ხელი არ გაანძრიოს, ხოლო მიწის ფასმა კი იმატოს და იმატოს. ვთქვათ სადღაც მივარდნილ ალაგას მამული მაქვს, რომელაც არავითარ შემოსავალს არ მაძლევს. ერთ მშვენიერ დღეს შედგა კაპიტალისტთა კომპანია და იმ კედაროს რკინის გზა გაიყვანა. რკინის გზას ხალხი გაყავს, გაშენდა სადგურები, გაჩაღდა ცხოვრება. ჩემს მამულს მოწონება მოუვიდა, ფასი დაედვა, და თუ წინეთ არას მაძლევდა, ახლა ათასობით მაძლევს, უცებ გავმდიდრდი და ჩემი სვე-ბედიც შეიცვალა. რამ მოახდინა ყველა ეს? ჩემმა სიფხიზლემ? სრულიადაც არა, მე თითიც არ გამინძრევია, მე მხოლოდ ვისარგებლე სხვების შრომით, სხვების ენერგიით და მოღვაწეობით. კაპიტალისტებმა რკინის გზა გააკეთეს, მის ახლო-მახლო ცხოვრება გაჩაღდა, მხარე კულტურულათ წინ წავიდა და აი ამათ ჩემი მიწაც დასჭირდათ. და რადგანაც მიწა მონოპოლიური ხასიათისაა, ე. ი. მისი გაკეთება, როგორც რკინის გზის, არ შეიძლება, აშკარაა ძალაუნებურათ ჩემი მიწა უნდა შეეყიდათ ან იჯარით აეღოთ. მე მთელ ამ მოძრაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, ხოლო სარგებლობა კი დიდი ვნახე! ქუჩაზე რომ ხაზინა ვიპოვო—ეს არის. და ეს იმიტომ, რომ მე მონოპოლისტი ვარ, მიწას ეერავინ ვერ გაამრავლებს ფაბრიკასავით. ავიღოთ მეორე მაგალითი. ვთქვათ ვერაზე მიწა ვიყიდე, საკენი ხუთ მანეთათ, დავტოვე და უცხოეთში წავედი. დავბრუნდი რამდენიმე წელს მერე და რას ვხედავ, თფილისი ვერისკენ წამოსულა, ჩემი მამულის გარეშემო უზარმაზარი სახლები წამოჭიმულან, ქალაქი გაჩაღებულა. საკენ მიწაში სიამოვნებით მაძლევენ სამ და ოთხ თუმანს. ვიგებ რამდენიმე ათას მანეთს. საიდან, რა გავაკეთე? სრულიად არაფერი, მე მხოლოდ ვისარგებლე ქალაქის ზრდით, ხალხის კულტურული განვითარებით და მეტი არაფერი. შრომა სხვისია, ნაყოფი კი ჩემი. მიწა ჩემი საკუთრებაა და რა გზა აქვთ იმათ, ვისაც მიწა არ მოეძევა, რომ არ დაემორჩილონ ჩემ სურვილს.—მესამე მაგალითი. ვთქვათ მადანი გაქვთ, მაგრამ მას არავინ არ თხოულობს, არავინ არ მუშაობს და არც რაიმე ფასი აქვს. პირიქით ნატრობთ ნეტავი ამის ალაგას სახნავი მიწა მომცა სადმეო, როგორც ამას შავი ქვის პატრონები ნატრულობდენ ამ 40 წლის წინეთ. ერთი სიტყვით თქვენთვის ეს ქონება ქონებათ არ ითვლებოდა და არც იცით თუ ოდესმე აქედან რამე სარგებლობას ნახავთ. და თუ არ ყიდით იმიტომ რომ არავინაა მყიდველი, თუნდაც ჩალის ფასათაც შეაძლიოთ. მაგრამ გავიდა ხანი და ვიღაც ფულის პატრონები მოგადგათ კარზე, ეს ქვა ჩვენ გვჭირია და ნება მოგვეცი დავიმუშაოთო. ამით დაინტერესებული თქვენ ტყობილობთ, რომ [illegible] რომელღაც კუთხეში ზავოდი ყოფილა და [illegible] ში საჭიროებს. ქვის მოთხოვნილება უცებ იზრდება, თქვენც ან ყიდით და ან იჯარით აძლევთ კაპიტალისტებს და ასე მდიდრდებით. საიდან შეიძინეთ ეს სიმდიდრე? თქვენი გამრჯელობით? სრულიადაც არა, თქვენ აქ მხოლოთ გამოწვდილი ფული ჩაიდეგით ჯიბეში და თანაც გიკვირთ, რა ბედი მომიგორდა კარზეო. თქვენი გამდიდრების გასამართლებელი საბუთია ის, რომ ეს მიწა თქვენ გეკუთვნით, ე. ი. მდიდრდებით როგორც მონოპოლისტი და არა როგორც რაიმე ღირებულების შემომქმედი. წარმოებას მეთაურობს კაპიტალისტი, მთელი რისკი მის კისერზეა, ღირებულებას ქმნის მუშა, თქვენ კი არც ერთში არ ურევიხართ, მარა მიუხედავათ ამისა მოგების ერთ დიდ ნაწილს ისაკუთრებთ.—მეოთხე მაგალითი. ამ მადნების გარეშემო თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა, ამათ საჭმელ-სასმელი უნდა, მოიმატა პურის, ღვინის და სხვა სამეურეო ნაწარმოების ფასებმა. თქვენ ახლა უცხადებთ თქვენი სახნავი მიწების მეიჯარეთ: აქამდის მაძლევდით მოსავლის მეოთხედს, აწი აღარ შემიძლია ამ პირობით მოგცე, რადგან სანოვაგეს მეტი გასავალი მიეცა და ფასებში აიწია. თუ გნებავთ მეტი ღალა მომეცით, თუ არა და თქვენთვის მიბძანდით, მუშტრები ბევრი მყავსო. იჯარადარი იძულებულია დასთანხმდეს... მემამულეს მიაქვს ის, რაც მეიჯარეს წინანდელზე მეტი უნდა დარჩენოდა. რატომ? მიწას არ მომატებია ახალი თვისება და არც პატრონს მოუხდენია რაიმე გაუმჯობესობა მამულში,—მაშ რისთვის!

ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა შეხედო, როგორც უნდა გასაჯო, დღესავით ნათელია ის, რომ მიწათმფლობელის შემოსავალი მომდინარეობს მიწის მონოპოლიიდან. საზოგადო წინმსვლელობა, ერის კულტურული ზრდა თანდათან აძვირებს მიწას, როგორც ბუნების ძალას, ხოლო ეს გაძვირება კი ხდება არა საზოგადოების, არამედ კერძო პირთა, მამულის მონოპოლისტთა სასარგებლოდ, ე. ი. საზოგადოების ერთი ნაწილი ხარკს აძლევს მეორე ნაწილს, რომ ამით მოიპოვოს უფლება დედამიწაზე ცხოვრების. ეს ხარკი მატულობს იმდენად, რამდენათაც მატულობს მცხოვრებთა რიცხვი, ვითარდება მრეწველობა, შრომის განაწილება, მეცნიერება— ძლიერდება თანამედროვე კულტურული ცხოვრება... ამისათვის არის, რომ მიწა და მიწის მოსავალი თანდათან ძვირდება, ხოლო საფაბრიკო საქონელი იაფდება. პირველ შემთხვევაში მეფობს მონოპოლია, მეორეში—კონკურენცია. მაშასადამე, ინტერესი მიწათმფლობელთა და ინტერესი დანარჩენი საზოგადოებისა ძირიანათ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ასეა თუ ისე, ხალხის საზოგადო წინმსლელობა არის მიზეზი მემამულის*) შემოსავლის გამრავლებისა. მაგრამ საზოგადო წინმსვლელობა ძრიელ ბევრ ელემენტებს შეიცავს, იქ არის შრომა, კაპიტალი, ტეხნიკა, მწერლობა და სხვა და სხვა. რომელი ამათგანია წყარო შემოსავლისა? და რას წარმოადგენს თვით ეს შემოსავალი?

მემამულის შემოსავალს ეკონომიურ მეცნიერებაში ეწოდება რენტა. ყოველ ეკონომიურ წყობილებაში ეს შემოსავალი ანუ რენტა განსაკუთრებითი ფორმას ღებულობს. რო-

*) მემამულეს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ პირს, რომელიც თავის ღირსებისამებრ ცხოვრობს მამულის შემოსავლით და თვითონ ფიზიკურათ არ მუშაობს. დანარჩენ მეურნეებზე ქვევით გვექნება ბაასი.

ცა შემოსავალი იხატება მიწის ნაწარმოებში, როგორც ეს იყო წინეთ და დღეს ჩვენში არის, მაშინ მას ეწოდება ღალა, ანუ ნატურალური რენტა. ხოლო როცა ის ფულში იხატება, როგორც ეს დღეს ევროპაშია, მაშინ მას ეწოდება პირდაპირ რენტა. ჩვენ აქ ორივე მცნების აღსანიშნავათ ვიხმართ რენტას.

რა ეკონომიურ კანონს ემორჩილება რენტის მოძრაობა? პირველ ყოვლისა გავიგოთ მისი დასაბამი.

ყოველი შემოსავალი, რა ნაირი სახელიც უნდა ქვიოდეს, რამე საგანია, საჭირო საქონელია. ხოლო ყოველივე საქონელი ადამიანის გაკეთებულია, შრომის ნაყოფია. მაშასადამე რენტაც შრომის ნაყოფი უნდა იყოს. ავიღოთ მაგალითი. მე მამული მაქვს და მსურს იჯარით გავცე. მოდიან მუშტრები, იმართება ვაჭრობა, მე ვცდილობ მეტი ავიღო, ისინი ცდილობენ ნაკლები მომცენ. ეს ერთნაირი ბრძოლაა და ვინც უკეთ შეიარაღებულია—ის იგებს. მე, როგორც შეძლებული, რასაკვირელია, ღარიბ მუშტრებს ჩემს პირობებს დავუდებ და ვეტყვი: იფიქრეთ, თუ ხელს მოგცემთ აიღეთო. მაგრამ ისეთ პირობას კი ვერ დავუდებ, რომ მთელი მისი ნაშრომი მე მომქონდეს, რადგანაც ამ შემთხვევაში მათ საჭმელი აღარ ექნებათ და მაშასადამე ვეღარც იმუშავებენ. ვერც ისინი დამიდებენ ისეთ პირობას, რომ მთელი მოსავალი მათ მოინდომონ, რადგანაც მიწა ჩემია (მონოპოლია) და ცხოვრებაც ღირსებისამებრ მინდა. ჩვენს შორის დადებული პირობა იქნება ამ ორი ლტოლვილების ნასკვი, ე. ი. მუშამ თავიც უნდა ირჩინოს და მეც მარჩინოს. ის შრომა, რომელიც მას უნდება თავის სარჩენათ და რომლის ნაკლებ მას არსებობა აღარ შეეძლება—არის აუცილებელი შრომა, ხოლო ის შრომა, რომელიც მიწის პატრონის რჩენას უნდება—არის ზედმეტი შრომა. ცხადია, რენტა, ნატურალურია იგი თუ კაპიტალისტიური, შეიცავს ამ ზედმეტ შრომას. ეს თვალსაჩინოა ბატონყმობაში, აქ პირდაპირ დაკანონებულია, ყმამ კვირაში, მაგ., სამი დღე უნდა იმუშაოს ბატონისათვის, მას მოუხნას, მოუთესოს, მოუმკას, მოუთიბოს და სხ. სამ დღეს მუშაობს თავისთვის და ამით ოჯახს ინახავს, აუცილებელი და ზედმეტი შრომა აქ ერთი მეორისაგან განშორებულია და მით აშკარაა. დღეს კი ისინი ასე დაშორებული აღარ არიან ერთმანეთისაგან და ამიტომ არც ისე ადვილი დასანახავია. კაცს ჰგონია, თუ დღეს მანეთს ვიღებ ქირას, ალბათ მეტი არ ვღირვარო, ე. ი. მანეთის საქონელს ვაკეთებო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, მოსაგები ვერა ვნახე"—გამოვა და ამას, რომელი სულელი იზამს. ნამდვილათ კი მანეთიანი მუშა მანეთზე მეტს აკეთებს და ეს მეტი არის პატრონის მოგების წყარო. ამ ზედმეტი შრომის ნაყოფს ეწოდება ზედმეტი ღირებულება და აი ეს უკანასკნელი ნაწილდება სხვადასხვა ჯგუფთა შორის (მექარხნე, ვაჭარი, მემამულე, ინტელიგენტი და სხ.). მაშასადამე, ზედმეტი შრომა ყოფილა ის ჩარხი, რომელიც ამოძრავებს ისტორიას. იმ ხალხში, სადაც შრომა იმდენათ ვერ განაყოფიერებულა, რომ ზედმეტი შრომა წარმოიშვას (ველურები), იქ, არც კლასებია, არც კულტურა და არც წინმსვლელობა შეიძლება. აქედან, თუ კი მიწათმფლობელის შემოსავალი მატულობს იმდენათ, რამდენათ მატულობს ერის კულტურული განვითარება, ხოლო ამ განვითარების მიზეზი კი ზედმეტი შრომის განვითარებაა, ცხადია რენტის განვითარების მიზეზიც ზედმეტი შრომა ყოფილა.

ზედმეტი შრომა არის დასაბამი რენტისა.

მარა, ზედმეტი შრომა ქმნის არა მარტო რენტას, არამედ კაპიტალსაც, არა მარტო სამეურნეო ნაწარმოებს, არამედ საფაბრიკოსაც. რით განირჩევა ეს ორი პროცესი ერთმანეთისაგან? ავიღოთ მაგალითი. ვთქვათ ერთ ქვეყანაში ჩექმების ყველა ფაბრიკა ორთქლის შემწეობით მუშაობს. თითო წყვილის დამზადება ჯდება 4 მ., ბაზარზე [illegible] 5 მ. წყვილზე იგება მანეთი. მოვიდა ახალი ფაბრიკანტი, [illegible] მონახა წყალვარდნილი, გააკეთა იქ ფაბრიკა და ორთქლის მაგიერ ეს ბუნებრივი ძალა იხმარა. ამ შემთხვევაში მას ხარჯი, რასაკვირელია, ნაკლები ექნება, ხოლო ძალა კი ორთქლზე მეტი. შრომა აქ ნაყოფიერდება, ნაკლები მუშით აკეთდებ იმას, რაც სხვა ფაბრიკაში მეტათ კეთდება. მაშასადამე დღის ქირაც ნაკლები გადის, ზედმეტი შრომა აიწია. ამისათვის წყვილი ჩექმები ჯდება 3 მ., ფასია ბაზარზე 5 მ. წყვილზე იგებს მანეთის მაგიერ 2 მ. ზედმეტი შრომა ბუნებრივი ძალის შემწეობით (რომელსაც, როგორც ვიცით, ფასი არ აქვს და არც ქონებია) 2 მანეთის ზედმეტ ღირებულებას ქმნის და პატრონი სხვა მის მეტოქეებზე ორჯერ მეტს იგებს. მაგრამ ამ დროს მოდის წყალვარდნილის პატრონი, მიწის მფლობელი, და თავის უფლებას აცხადებს: შენ ორ მანეთს იგებ ჩემში საკუთრების წყალობით, უამისოთ კი მანეთს მოიგებ, როგორც სხვები, მაშასადამე ის ზედმეტი მანეთი ჩემი უნდა იყოსო, თუ არ გნებავს მიბძანდიო. ფაბრიკანტი ძალაუნებურათ თანხმდება (შენობებს ხომ ვერ აყრის) და ამ ნაირათ მოგებაში იზიარებს მემამულესაც. თავის ზედმეტ მოგებას (1 მ. აუცილებელი მოგებაა, მეორე მან. კი ზედმეტია) აძლევს მას. და ასე ზედმეტი შრომის ნაყოფი ნაწილდება ამ ნაირათ: ნახევარი მიაქვს ფაბრიკანტს, როგორც მოგება. ნახევარი კი მემამულეს, როგორც რენტა.

მაშასადამე რენტა არის განსხვავება ჩვეულებრივ მოგების და ზედმეტ მოგების შორის, თუ პირველია 1 და მეორეც 1, რენტა იქნება 1, თუ პირველია 1, მეორე 2, რენტა იქნება 2 და სხ. ამ განსხვავებას იწვევს ბუნებრივი ძალა (მიწა, წყალი და სხ.), რომლის შემწეობით შრომა ნაყოფიერდება, ზედმეტი შრომა მეტ ზედმეტ ღირებულებას ქმნის. ხოლო ეს ბუნებრივი ძალა კი მიწის პატრონთა მონოპოლიაა, მას სურვილისამებრ ვერ გაამრავლებ და სწორედ ამით სარგებლობენ ისინი.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითი, როცა მადნების წარმოება იწვევს სამეურნეო ნაწარმოების გაძვირებას და აქედან რენტის მომატებასაც. აქაც იგივეა. თუ წინეთ მიწათმომქმედი ქცევაზე იგებდა 10 მ. (რენტის გამორიცხვით), ახლა იგებს 15 მ., ცხადია ეს 5 მ. ზედმეტი მოგებაა და როცა მემამულე თხოვს ამდენსავე მომატებას, ის ანგარიშობს: ჩემი ჩვეულებრივი მოგება თუმანია, თუ ეს დამრჩა—ესეც ეყოფა ჩემისთანა საწყალ კაცსაო. ზედ-მეტი მოგება—5 მ.—გადადის რენტაში. აქაც რენტის აწევა გამოიწვია მიწის მონოპოლიამ, მისი გამრავლება არ შეიძლებოდა, ხოლო მოთხოვნილებამ კი იმატა. ვთქვათ, მოთხოვნილების აწევამ გამოიწვია ახალი მწირი ადგილების დამუშავება. ასეთ ადგილზე შრომა მეტი უნდა, ამისათვის აქ მომუშავებული ნაყოფი მეტათ ღირს, ვინემ ნოყიერი ადგილების. ამისათვის ბაზარზე ის უნდა გაიყიდოს დამუშავების ფასებში მაინც, თუ მეტი არა. ხოლო თუ ასეთ ფასებს აძლევენ, ცხადია მოთხოვნილება დიდი ყოფილა და მაშასადამე, ნოყიერი ადგილების ნაწარმოებიც ამ ფასებში გადიან. ამ შემთხვევაში რენტა იქნება განსხვავება ნოყიერი და მწირ ადგილებიდან დარჩენილ მოგების შორის. თუ უკანასკნელი მიწის, მაგ., ფუთი სიმინდი დაჯდა 50 კაპ., ხოლო ნოყიერი მიწის 30 კაპ. (რენტის გამორიცხვით) და ორივე ათ შაურათ იყიდება, ცხადია უკანასკნელის მოგება იქნება 20 კ. და თუ ამაში იჯარადარის ჩვეულებრივი მოგებაა 10 კ., ზედმეტი მოგება იქნება 10

კაპ. და ეს გადავა რენტაში. მწირი მიწის პატრონი კი რენტას ვერ იღებს, რადგან მისი მიწა იმდენათ ცუდია, რომ პირველ ანებში მოგებას არ იძლევა ან იძლევა ძლიერ ცოტას. თუ მოთხოვნილებამ კიდევ იმატა და საჭირო გახდა უფრო მწირი მიწის შემუშავება, ამ შემთხვევაში ამის ხარჯები საზღვრავენ პირველი ორი მიწის ნაყოფის ფასებს და რენტაც მატულობს თანახმათ მოყვანილი კანონისა.

როგორც ხედავთ აქ რენტის აწევის მიზეზი მაზანდის აწევაა. სამეურნეო ნაწარმოები იყიდება არა თანახმათ შიგ მოთავსებული ზედმეტი შრომისა, არამედ გაცილებით მეტათ. ეს გარემოება ბადებს „ყალბ სოციალურ ღირებულებას“. აქ ფასების გამსაზღვრელია სოციალური მდგომარეობა საზოგადოებისა, ე. ი. განვითარება მრეწველობისა, გამრავლება არა-მეურნეთა რიცხვისა და სხვ. გამოდის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მეტს იხდის საჭმელ-სასმელში, ვინემ ეს უკანასკნელი ღირს და ეს „მეტი“ მიდის არა საზოგადოებისავე, არამედ კერძო პირთა—მემამულეთა ჯიბეში.

რაც აკლდება პირველს, ის ემატება მეორეთ. და ეს იმიტომ, რომ წარმოება ხდება უპლანოთ, რომ წარმოება არაა საზოგადოების მიერ გაწესრიგებული.

რენტის აწევა შეიძლება მაშინაც, როცა სამეურნეო ნაწარმოების მაზანდა დაწეულია. ამ შემთხვევაში მიწის მეიჯარე მეცადინეობს ნიადაგის განაყოფიერებას, გაუმჯობესებას (მელიორაცია) და ამით შრომის განაყოფიერებას. თუ წინეთ, მაზანდის დაწევამდის, ერთ ქცევა მიწაზე 30 ფუთი სიმინდი მოდიოდა, ახლა მელიორაციის საშუალებით მოდის 40—50 ფ. თვითეული ფუთის მომუშავება დაჯდა გაცილებით უფრო იაფათ და ამიტომ დაწეული მაზანდაც მეტ შემოსავალს იძლევა. ამ მეტში მონაწილეა მემამულე და ეს გაუმჯობესებული ნიადაგიც საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ მას რჩება... ახალი იჯარადარი მეტ რენტას აძლევს მეპატრონეს, რადგან მისი მამული გაუმჯობესებულია, თუმცა ამ გაუმჯობესობაში მას (მემამულეს) არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. შეიძლება ყველა ეს პროცესი ერთ და იმავე დროს მოხდეს, მელიორაცია, ბევრი მიწების დამუშავება და აქედან მაზანდის დაცემა. ამ შემთხვევაში რენტა უნდა დაიწიოს, მაგრამ არა ხანგრძლივათ, რადგან კაპიტალისტები (ან თვით მემამულენი) სამეურნეო ნაწარმოების გაიაფებით წახალისებულნი მართავენ ზავოდებს სპირტის, შაქრის, ლუდის და სხ. და ამით მოთხოვნილება პურის, ქერის, ჭარხლის და სხ. იზრდება. ხშირათ ასეთ მეზავოდე სახელმწიფო პრემიასაც უნიშნავს და თავის მხრით ახალისებს. ამას კი მოსდევს რენტის აწევა და სათანადო დონეზე გაჩერება. მეორე მხრით, თუ მაზანდის დაწევის მიზეზი უცხო მეურნეთა კონკურენციაა, მაშინ მემამულენი მეცადინეობენ სადამოჯნო წესები შესცვალონ, უცხო ნაწარმოებს დიდი ბაჟები დაადვან და ასე ხელოვნურათ შიგნით საჭმელ-სასმელის სიძვირე ჩამოაგდონ. ასე მოიმოქმედეს წელს გერმანიის მემამულეებმა.

რენტის დაწევა შეიძლება მაშინაც, როცა სოფლის ხალხი თანდათან ქალაქებს ეტანება, სოფელში მუშა ძვირდება და მამულის მეიჯარეთა რიცხვი კლებულობს. ამ გარემოების მიზეზია მრეწველობის განვითარება, სამრეწველო მუშის დღის ქირის მომატება, სოფლის იურიდიულ-ბატონური შევიწროება და ქალაქური თავისუფლების უპირატესობა და სხ. ერთი სიტყვით როცა სამრეწველო საქმეებით მეტი ფული შეიძინება, უკეთ იცხოვრება, მეტი უფლებები იძინება, ვინემ სამეურნეოთი და მეურნეობაში. ამიტომ მემამულეთა ინტერესია ამ პროცეს გადაეღობონ, სოფლის კაცი სოფელს მიაკრან, გარეთ არ გაუშვან და მით მისი დღის ქირა დასწიონ. თუ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ იძულებული იქნებიან მანქანები შემოიღონ, ტეხნიკა გააუმჯობესონ, მამულის დამუშავება თვითონ დაიწყონ, ბაჟები ასწიონ, და ასე რენტა გაიძლიერონ, ან და მამულები ბანკში შეიტანონ და სრულიად გაყიდონ, რომ მით კრიზისი გადაიტანონ. მაგრამ ეს კრიზისი დროებითია, რადგან მრეწველობის განვითარება გააძლიერებს სანოვაგის მოთხოვნილებას მთელი თავისი შედეგებით (იხ. ზემოთ). გარდა ამისა მრეწველობის საშუალებით კაპიტალი მრავლდება, ფული იაფდება, პროცენტი დაბლა იწევა. ამ შემთხვევაში ფული ზურგს უბრუნებს მრეწველობას და ეძებს ახალ გამოსარჩენ დარგებს. ერთი ასეთი დარგთაგანია მეურნეობა. ფული აწვება მეურნეობას, სადაც ცოტა მოგებითაც კი კმაყოფილდება, ხოლო დანარჩენი ზედმეტი მოგება, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, გადადის რენტაში. ცხადია, რენტა ძლიერდება მაშინაც, როცა ფული იაფდება და სარგებელი კლებულობს. მაშასადამე ამ გარემოებასთან შეკავშირებული „ყალბი სოციალური ღირებულება“ ერთიანათ, როგორც ზევით ვთქვით, გადადის რენტაში და არა იჯარადარის მოგებაში.

ამ გვარათ ჩვენ აქ ავნუსხეთ რენტის აწევ-დაწევის უმთავრესი კანონები, რომელნიც მომდინარეობენ მიწის მონოპოლიიდან. ეს კანონები მთელი თავისი სავსებით მოქმედებენ განსაკუთრებით კაპიტალისტურ მეურნეობაში, ე. ი. იქ, სადაც მეურნეობას უყურებენ როგორც მოგების წყაროს და იჯარადარი ფულიანი კაცია. მისი ინტერესია ფული მოიგოს, ხოლო ამ მოგების რაოდენობა განსაზღვრულია ფულის ბაზრით. თუ ფული საზოგადოთ 6 პროცენტს იგებს, მაშინ ჩვეულებრივი მოგებაც ექვსი პროცენტია და კაპიტალისტი-მეურნე ამას ჯერდება. ხოლო ზედმეტი მოგება რენტათ იქცევა. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოგება საზღვრავს რენტის რაოდენობას. რადგან იჯარადარი არას შემთხვევაში არ დათანხმდება ჩვეულებრივი მოგებიდან მოიკლოს და რენტას მიუმატოს. და თუ მემამულე ძალას აიტანს, მაშინ ის თავს ანებებს მეურნეობას და თავისი ფული ისევ ვაჭრობა-მრეწველობაში გადააქვს. ეს კი აიძულებს მემამულეს ფულის ჩვეულებრივი მოგება იცნოს რენტის საზღვრათ *).

რენტას შეუძლია დაეპატრონოს არა თუ ჩვეულებრივ მოგებას, არამედ იჯარადრის ჯიბესაც იქ, სადაც მეურნეობა კაპიტალისტურად არ წარმოებს, სადაც მეურნეობაში არავითარი ბუხჰალტერიული ანგარიში არ არსებობს, იჯარადარი მუშაობს თვითონ, ამუშავებს ცოლს, შვილებს—მთელ ოჯახს და არც კი იცის რას იგებს, ან რას აგებს. ის მიწას უყურებს, უმთავრესათ, როგორც თავის რჩენის წყაროს და თუ დიდის გაჭირვებით თავს კი ირჩენს, მეტს არ დაგიდევს. აქ რენტა ყოვლად შემძლებელია, ის ბრძანებლობს და საზღვრავს იჯარადრის მოგებას. ასეთი მეურნეობაა გამეფებული უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში.

ამ სახით, კაპიტალისტურ მეურნეობაში იჯარადრის ჩვეულებრივი მოგება საზღვრავს რენტის რაოდენობას; არაკაპიტალისტურ მეურნეობაში რენტის რაოდენობა საზღვრავს იჯარადარის ჩვეულებრივ მოგებას.

ამ უკანასკნელს ვრცლათ გავარკვევთ შემდეგ წერილში.

გ. მარმალაძე.

---

*) ამ ანგარიშით ხელმძღვანელობს მემამულეც, როცა თვითონ აწარმოებს თავის მამულს, რაც ერთობ იშვიათია. ის საერთო მოგებიდან გამოდის დაბანდული ფულის ჩვეულებრივ, ფულის ბაზრით განსაზღვრულ მოგებას. დანარჩენი იქნება რენტა.

სხვადასხვა ამბები.

საბეითალო უწყება აღნიშნავს, რომ საქონლის ჭირის აცრა ბორჩალოს მაზრაში დღემდისაც არ დასრულებულაო, სულ აუცრიათ 20,000 სული საქონელისთვის.

სოფელ ძველსა და ახალ გავაზში (თელავის მაზრა) საქონელს თურქული გმსჩენია.

ღამის თავშესაფრებს დიდი ხალხი მიაწყდა ამ ბოლოს დროს. დიდუბის თავშესაფარში ამ ჟამად ორასამდე კაცია თურმე თავმოყრილი, ამათ'ში ოთხი ოჯახია წვრილშვილებით, ერთი ოჯახი ინტელიგენტი ყოფილა. ბევრს აქ მყოფს დღიურ სამუშაოდ სიარულიც არ შეუძლია, რადგან ზოგს ტანთ არ აცვია, ზოგს—ფეხთ.

შეწირულებანი, რა თქმა უნდა, დიდად გაუადვილებდა გაჭირვების ატანას ღარიბებს.

თფილისის ვაჭართა საზოგადოებას გადაუწყვეტია საკომერციო სასწავლებელში ათი სტიპენდია დააარსოს, თითო 12 თუმნიანი წელიწადში. ეს სტიპენდიები ადგილობრივ ვაჭართა ულარიბეს ოჯახის შვილებს მიეცემათ.

რედაქციამ მიიღო: 1) Отчетъ о дѣятельности Совѣта съѣзда, избраннаго на III съѣздѣ марганцепромышленниковъ. 2) Къ вопросу о мѣрахъ къ развитію ферромарганцеваго производства въ Россіи. 3) Статистика марганцеваго дѣла. რედაქცია ამ წიგნების შესახებ თავის აზრს გამოთქვამს.

ღღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება განცხადება ბ. გ. ჩარკვიანის მიერ გამოცემულ ქართულის კედლის კალენდრის შესახებ. უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ კალენდარი სინიდისიერათ არის შედგენილი, კოხტათ და ლამაზათ არის გამოცემული. ეს კედლის კალენდარი სხვათა შორის მითაც განსხვავდება სხვა უგემურათ გამოცემულ კალენდრებისაგან, რომ შეიცავს ცნობებს მაჰმადიანთა და ებრაელთა უქმეებისა ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ შესახებ, რაც, უეჭველია, დაინტერესებს ქართულის მკოდნე ებრაელებს და მაჰმადიანებს.

უმრამვლეს ფურცლების უკანა გვერდზე დაბეჭდილია სხვადასხვა საყურადღებო ამბები და შენიშვნები.

კალენდარი ღირს ორ აბაზათ.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ქართული ზღაპრები, შეკრებილი და გამოცემული ი. მერკვილაძის მიერ ორ პატარა წიგნაკათ. პირველ წიგნაკში ერთი ზღაპარია, მეორეში ორი. პირველი წიგნაკი ღირს ერთ შაურათ, მეორე ორ შაურათ. წიგნაკები კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და სუფთათ არის გამოცემული.

კორესპონდენციები.

საჩხერე. 23 ეკვინისთვეს შორაპნის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორთან ერთად აქაურმა საზოგადოების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს მოსავალი სამოქალაქო სკოლის განსაჩენი. აღნიშნულია მუხლები: 1) ეთხოვოს მთავრობას განსჩინოს საჩხერეში ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი და მიეცეს მას ხაზინიდან შეწეობათ 2,000 მან. 2) იმათ შვილებს, ვინც ხარჯში მონაწილეობას მიიღებს, სასწავლო ქირა 14 მან. გადახდეს, ხოლო სხვებს—20 მან. 3) თუ ამ გადასახადიდან იმაზე ნაკლები თანხა შემოვიდა, რაც სასწავლებლის შესანახათ საჭიროა, მაშინ დანაკლისი თვითონ საზოგადოებამ შეავსოს და 4) შენობის ასაგებათ ხუთ დერთოს ხელის მოწერის გამართვისა. მას შემდეგ [illegible] გადის და განაჩენის ბედ-იღბალისა არა ისმის-რა. [illegible] ეკვინისთვიდან გვინდა სკოლა გვქონდეს, ახლავე უნდა შეკუდგეთ საქმეს, თორემ დროზე არ მოესწრება, რადგან განაჩენს დიდი გზა აქვს გასავლელი, რომ სანამ სრულ დამტკიცებას მიიღებდეს. ეს სკოლა იმდენ ხარჯს არ მოითხოვს, რამდენიც ბავშვების შესანახათ ქუთაისში უნდებათ აქაურებს. რაც უნდა დარიბულათ შეინახოთ ბავში ქუთაისში, ასი მანეთი მაინც დასჭირდება წელიწადში. აქ წლიურათ ორი-სამი მანეთი შეხვდება თითო გლეხს ხარჯი. იმის ნახევარიც არ დასჭირდება, რადგან სოფლები სიახლოვეა საჩხერეზე. 17 ნოემბერს აქაურმა მოძრიგებელმა შუამავალმა შეჭკრიბა ჩიხის საზოგადოება და გამოუცხადა, ჩიხის ერთკლასიანი სასოფლო სკოლა ორკლასიანათ გადავაკეთოთ და იმის შესახებ განაჩენიც შევადგინოთო, მარა საზოგადოებამ ცივი უარი უთხრა. ნათქვამია «ერთი ტულის დაკვრით ხე არ წაიქცევაო". არც ერთხელ შეკრებით გაკეთდება ამგვარი საქმე. საჭიროა კიდევ რამდენჯერმე შეკრება და ახსნა ხალხისთვის ორკლასიან სკოლის მნიშვნელობისა და ხაზინის მხრით რამდენი იქნება შემწეობა, მაშინ საქმეც სასურველათ დაგვირგვინდება. აქაურ ორკლასიან სამრევლო სკოლის მასწავლებლებს ეპარქიის მეთვალეურისაგან დაევალათ ინვრიდან სახალხო კითხვების გამართვა სკოლის შენობაში ოთხშაბათ კვირას. ზნეობრივი შინაარსიან წიგნების კითხვის გარდა, წაკითხული იქნება სხვადასხვა წიგნებიდან ცნობები სამეურნეო საგნებსა და ბუნების მოვლენებზე. შემდეგ, იმედია, საკვირაო სკოლის გახსნაც გაადვილდება.

საყულიელი

ს. ᲞᲐᲒᲜᲘ. ბევრი ახსნა-განმარტება ადარ არის საჭირო, თუ რამდენად მიუტო�ებელ საჭიროებას შეადგენს და რამდენად მნიშვნელოვანია, უფასო წიგნთ-სატავ-სამკითხველო. ჩვენ განვიზრახეთ ხელი შეუწყოთ, რამდენათაც ჩვენგან მოსახერხებელი იქნება, ჭაგანის საზოგადოებაში სამკითხველოს დაარსებას. ნება-რთვა უკვე მზათაა. სამკითხველო იქნება მოთავსებული საზოგ. საშუალო ადგილს და შენობის აგებას ახლო მომავალში შეუდგებით. შენობისათვის 15 მ. საჭირო მასალა შემოსწირა ბ. სერებრიაკოვმა. საჭიროა წიგნები და ფული. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჭაგნის ახალ-გაზდობა, რომლებიც, ბედმათ არის სხვადასხვა ქალაქებში და რომლებსაც აინტერესებს თავიანთი მოძმეების წინმსვლელობა, განვითარება და ვეთიდ-დღეობა, თანაგრძნობით მიეგებება ამ ჩვენ მოწოდებას და არ დაიშურებს მტირედენ წვლილს ამ კულტურულ დაწესებულებისათვის. ადრესი: სატმრედია. ჭაგანის უფასო წიგნთ-საკავ-სამკითხველოს.

გრ. ურატაძე.

რუსეთის ცხოვრება.

ეზანის გაზეთები იუწყებიან, რომ სამარის გუბერნიის ნიკოლაევსკის სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამომკვლევ კომიტეტის სხდომის განხილვის დროს, თავმჯდომარემ (მაზრის ევანგელიანურთა წინამძღოლმა) გამოაცხადა რომ კრებები ხალხის დაუსწრებლათ უნდა მოხდესო. საერობო ხმოსანმა ბროტოზოვმა, რომელსაც მოხსენება უნდა წარედგინა, შენიშნა რომ ამ გვარი კრებები ხალხის დაუსწრებლათ ეოვლათ შეუძლებელია და კომიტეტში მუშაობას თავი განება. მის მაგალითს მიუყენ საზინის წარმომადგენელი ბ. ზუბოკი, კეთილმოყვარე საზოგადოების მამულების გამგე ბ. ბობროვი და სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელი ბბ. მედვედევი, რასმანინი და ორი კლეხი.

— „ოდესის გრადონაჩალნიკის უწყებაში" დაბეჭდილია: 2 ივნვარს ოდესის საბურობილეში მძაკატთა განეოთეიდებაში არეულო-

ბა დაიწყო, დარიგებამ არ გასწრო. სუბერობილეს მცველებმა დეკორეველები ესროლეს. ერთი ტუსალი მოკლულია, ერთიც დაჭრილი. გამოიწვიეს ორი როტა სალდათებისა. წესიერება აღდგენილ იქნა. 3 იანვარს მოხდა არეულობა სუბერობილის ქალთა განყოფილებაში. გამოწვეულმა ჯარმა ორჯერ თოფები ესროლა. ერთი ქალი მოკლულია. წესიერება აღდგენილ.

— გასულ წელს გუბერნატორების კანცელიარიებს 82,326 სხვადასხვა-გარეთ გასასვლელი პასპორტი გაულიათ. ეს რიცხვი 1901 წლის რიცხვს 5,2% ადემატება. მარტო პეტერბურგის გუბერნიაში გაუცია თოთელი რიცხვის 21,6%, მოსკოვში 11,6%.

— პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ებრაელ ქალს კერა რაფაელოვიჩს პეტერბურგიდან გადასახლება გადაუწყვიტა. ეს განჩენა რაფაელოვიჩმა განასაჩივრა სენატში, ვინაიდან მან, როგორც უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულს, განათლით ნება აქვს მთელ იმპერიაში სადაც უნდა, იქ იცხოვროს. ათ დეკემბერს სხდომაზე სენატმა დადგინა შეჩერდეს ქ-ნ რაფაელოვიჩის გადასახლება.

— ტულაში ბოქაული უვაროვი ორი თავისი თანაშემწით და ორი გოროდოვოი მიეიდა ვაჭარ დიმონადის სახლში და მის შვილს (მამა შინ არ იყო) სტოლის გასადები მოთხოვა. შვილმა უარი უთხრა. მაშინ ბოქაულმა გასადების ძალით წართმევა მოუნდომა და ხელზე ურჩ დიმონადს ძალზე დაარტყა. ამ დროს შემოვიდა მამა. იმან მოთხოვა ბოქაულს მოწერილობა, რის ძალითაც ის სახლს უჩხრეკდა. ბოქაული დაბირდა მოწერილობას გაჩხრეკის შემდეგ გიჩვენებო და ეხლა თუ გასადეს ნებით არ მომცემ ძალით წაგართმეგო. უვაროვმა გასადები ხელთ იგდო, მაგრამ რადგანაც ერთი უჯრის გასადები დაკარგულიყო, სტოლის ზედა ფიცარი ააგლეჯია. გადასინჯა სხვადასხვა ქადაღდები და ვაჭრის ზაფრენოვის ხელმოწერილი ვექსილები ოთხ წაიღო. დიმონადმა განმეორებით თხოვა მაჩვენე მოწერილობა, მაგრამ ჩვენების მაგიერ ბოქაულმა ასე უპასუხა: „შენ მე ვერ მასწავლი, აგერ თერთმეტი წელიწადია, რაც ბოქაულთა ვარ, და ვიცი როგორ მოვიქცეო!“

დიმონადმა ბოქაულს ოდესის სასამართლოში უჩივლა. სასამართლომ გადაწყვიტა უვაროვს საეკედური გამოეცხადოსო.

— აზრათა აქვთ რუსეთის შიდა გუბერნიებში დაწესონ სამუშაო ბირჟა.

— როგორც „ოდეს. ნოვ“ იუწყებიან, ოდესის საბოსწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნა ოდესაში ქალებისათვის უმაღლესი პედაგოგიური კურსების დაარსების შესახებ შეწყვეტილ იქნა და ახლო მომავალში კურსებიც გაიხსნება. კურსებზე ისტორიული სიტყვიერების, მატემატიკური და უცხო ენების განყოფილებები იქნება. კურსებზე მიიღებენ, ვისაც საშალო საქალაქო სასწავლებელი აქვს გათავებული და ვინც იმ ენაში ფრანგული და ნემეცური იცის, რამდენსაც საქალაქო გიმნაზიებში ასწავლიან.

— „სარატ. დნ.“ შემდეგ შემაძრწუნებელ ამბავს მოგვითხრობს. სოფ. ო. ბალაშოვის მაზრაში ცხოვრებს კლესი მ. მ—ვი, რომელიც მეტისმეტად დოთობს. ერთხელ, დეკემბრის პირველ რიცხვებში, მასთან მიეიდა ნაცნობი, კლესი ვ. რ—ვი, მაგრამ კარები შიგნიდან ჩაკეტილი დაუხვდა. დიდი ხნის რეკვის შემდეგ, როგორც იქნა, კარები გაღო გათიერებულმა და შიშისაგან აცახცახებულმა ბავშვმა. რა შევიდა სახლში თვალ-წინ შემდეგი შემაძრწუნებელი სურათი წარმოუდგა: იატაკზე უსიცოცხლოთ კლია ი—ვის ცოლი, რომელისთვისაც გამხეცებულ ქმარს ეელში თავსაფარი წაეკრა, თავზე ფეხი დაედგა და ისე სწვდა თავსაფარს ზეით... ბავშვმა უთხრა, რომ, როდესაც შენ დაარეკვინე, მამამ მითხრა, საჩქაროთ დანი მომიტანეო, მაგრამ მე შიშისაგან დანა არ მიუტანე და კარები გავაღეო. რ—მ გამოგლეჯა ხელიდან სიბრალოთ ქალი, რომელიც კარეთ თოვლზე დადგა და მეზობლებს დაუძახა...

— რასა შვრები, მიტროფანე, ჭა?

— მინდოდა მომეკლა, მაგრა არ დამანაჯეს. ვერსა წამიგა, სულ ერთი, მერეც მოვკაწრები.

— არ იცი, რომ ციმბირში გიგრაკენ თავს?!

— მეც ეგ მინდა, იქაც სალამი ცხოვრებს და არა ბუცეები. უეჭველათ ჩამოვაბრჩობ, აი, კარებზე ჩამოგკიდებ და ვიტყვი: თავი თვითონ ჩამოიხრჩოვო!..

ორი საათის შემდეგ სიბრალოთ ქალს სიცოცხლეს — ცხონებულ-დაუტეო. ჯერ ოდნავ ამოიკვნესა და შემდეგ გულ-ამოსკვნილი ქალთანი მორთო.

ძლიერ ავათ არის ამ ყამთ სიბრალოთ. მეტათ დაშავებული აქვს ბისერი, გული და მუცელი.

— რისთვის გახრჩობდა?—შეეკითხენ ქალს.

— აბა რა ვიცი... მითხრა—უკანასკნელათ ჭამ ამ კართოფილსაო. სჩანს მეტს ვეღარ მოესწრება, დროა სიკვდილსაკენ გაემგზავრეოთ. მე მეგონა მეხუმრებოდა. ასე წინათაც მეუბნებოდა ხოლმე. სადილის შემდეგ დაეტა კარები, ბავშვები მაღლა ტასტზე შესვა, მომეარდა მე და ხრჩობა დამიწყო.

მიტროფანი დატუსადეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ ისევ ქუჩაზე დავინახე ირეკინათ მოსეირნე.

— მიტროფანი მართლა გამოუშვეს?—შეეკითხე მე.—მერე რომ მოკლას ცოლი?..

— მიტროფანს ეს მანეთზე მეტი სასოფლო ვალი მართებს. უნდა გადაიხადოს და ამიტომ გამოუშვით. მოკლავს თუ დარჩენს რა ჩვენი საქმეა.

— სანამ ფულს მოგცემდეთ, ხომ მოკლა ცოლი!

— რასაკვირველია. ცოლს კი არა შვილებსაც გაწვეტავს. ვერ ხედავდი ამასწინათ როგორ სცემა!.. სულ მუცლის გადმობრუნებას სცდილობდა. „ცოცხლათ უნდა გამოგწყლა-გამოგშიგნოვო“,—კაიძახოდა. ბავშვები თოვლში ეინავზე კარეთ გამოეარა. გაიყინებოდენ სიბრალოები, მაგრამ მეზობლებმა შეიფარეს.

— განა არ შეგიძლიათ რამე ისაშველოთ და არ მოაკვლევინოთ?

— შეიძლება არ მოკლას. თუ მოკლა კი სასტიკათ დასჯიან, რადგანაც ეველამ იცის...

ამნაირათ ერთი ქალის და ოთხი ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ჭკიდია ამ ჯალათის ხელში...

— იურიევის უნივერსიტეტმა ასი წლის იუბილეის გამო ამოირჩია სპეციალი წევრათ გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი და მამა იოანნე კრონშტადსკი ამ ყამთ, როგორც გაზეთები იუწყებიან, მამა იოანნემ უარი განაცხადა წევრობაზე, რაც ადვილათ მოსალოდნელი იყო.

1902 წელი უცხოეთში.

ტრანსვაალ-ორანჟეს რესპუბლიკის დაპყრობამ მადა გაუღვიძა ინგლისის ბურჟუაზიას და ის უკვე შეუდგა მუდმივ ჯარის შემოღებას შინაურ და გარეშე მტრებთან საბრძოლველათ. ის დღეს ისე ძლიერათ გრძნობს თავს, რომ ფიქრათაც არ მოსდის თავის ძალ-მომრეობის პოლიტიკას ფრთა შეაკვეცოს. ახლანდელი ინგლისის მართველობა დღეს განსაკუთრებით ავიწროებს ირლანდიას. მისმა თვითნებობამ ამ შემთხვევაში ყოველსავე საზღვარს გადააბიჯა. მან ირლანდიისათვის განსაკუთრებული კანონები გამოსცა, რომელნიც მხოლოთ მდიდარ ფერმერების და მიწათმფლობელების ინტერესებს იცავენ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ და უკიდურეს სიღატაკეში აგდებენ უკანასკნელთ. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება ირლანდიელებში და რამდენიმეგან სერიოზულმა არეულობებმა იჩინა თავი. ამით ისარგებლა მთავრობამ და ირლანდია კონსტიტუციის კანონების მფარველობის გარეშე მყოფათ გამოაცხადა და განსაკუთრებული წესები შემოიღო, რომლის ძალითაც მსაჯულის ფუნქციები ადმინისტრაციის ხელში გადავიდა და ყოველი მცირე პროტესტისათვის სას-

ტიკი სასჯელია დანიშნული. მთავრობა კიდევ უფრო შორს წავიდა. ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა იქამდის მიაღწიეს, რომ პარლამენტმა მცირეოდენი დროც კი არ დაუთმო ირლანდიის საქმეების განხილვას... აშკარაა ინგლისელ ბურჟუაზიას ისე არ შეუძლია არსებობა, თუ არ ძალმომრეობით.

დ. კოლხიდელი.

ᲩᲐᲘᲖᲔ...

II.

ასე რამ დაგაფიქრათ, ვასილ ვასილიჩ! დაეკითხა სტუმარი მასპინძელს!

— ო! თითქო გამოერკვაო, მიუგო მასპინძელმა.—საფიქრებელი ბევრი მაქვს, მაგრამ ეხლა ერთი რამ მიტრიალებს თავში. მგონი ამ მოკლე დროში ბაქოსკენ შემექნეს წასვლა.

— ეხ, ერთი შენცა! რაღა დროის ბაქოში წასვლაა ამ დღესასწაულებში, მერე წადით იანვარში. უქმეები კი აქ გემოზედ ვატაროთ, ახალ წელიწადს რაღა?!

— ეხ! უქმეები უქმეებია, მაგრამ საქმეც საქმეა და. არა, წასლვა კი არ მეზარება, ცოტა-ცოტათ გამოცოცხლდა მასპინძელი.—მეშინია, ვაი თუ რაზედაც მგზავნიან, ის რიგიანად ვერ შევასრულო.

— მაინც რა ყოფილა ისეთი.

— საქმე იმაშია, ბატონო, რომ ეხლა ჩვენ ქარხანაში ახალი მანქანა გვინდა შევიძინოთ. ჩვენ, რომ გვინდა მაგის მზგავსი აქ არსად არ არის. ბაქოში მოუტანიათ ერთ ადგილას და იმის დასათვალიერებლად და რამდენად გამოსადეგი და ხელსაყრელი იქმნება ჩვენი საქმისათვის იმის შესატყობად მგზავნიან. პატრონი, თითქმის ინჟენერს არ ენდო და მე გამომირჩია და თუ ღმერთმან ინება და რიგიანად შევასრულე, თვეში ორი თუმანი ზედ მეტი თუ გინდ ეხლაც ხელში მქონდეს!

— თქმა არ უნდა შეასრულებ, რა სალაპარაკოა. ნუ!! შეასრულებ, შეასრულებ, ტუჩებ გაბუტყვით მიუგო გრიგორი მიხეილის ძემ, მხოლოდ ამ დღესასწაულებში კი ნუ წახვალ. ეხლა კი ერთი დარდის გასაქარვებლად ცოტა ვიბანქოოთ, ვითომ რას იტყვი?

— არაფერს, ოდნავ სიცილით მიუგო მასპინძელმა.

ბანქოს თამაშობა დაიწყეს. დიასახლისი სამზარეულოსკენ წავიდა.

ვიღაცამ კარები დააკაკუნა.

— მობრძანდით, დაუძახა ვასილმა.

კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ასე შუა ხნის კაცი. ტანსამოსზე ეტყობოდა, რომ მოსამსახურე უნდა ყოფილიყო.

— ა... ვანო! რა ამბავია, მიეხმაურა მასპინძელი.

— ბატონი გიბარებთ.

— ქარხანაშია?

— არა, შინაა.

— ეხლავე...

— ჰეირი ჰა, ჩემო ძმაო, შენ რა სულპოკლე კაცი ყოფილხარ, მიუბრუნდა გრიგორი ახალ-მოსულს. მე ეხლა, ძმაო, მოგების გზას ვადექი, აი ჰხედავ რამდენი კოზირები მყავს და შენ კი სადღაც ქე ეძახი ჩემს მოპირდაპირეს.

— მე რა შუაში ვარ, ბატონო, იმართლა თავი მოსამსახურემ.

— შენ შუაში, შენ შუაში?! გაფანტულად მიუგო გრიგორმა.

— ალბათ მე რომ ეხლახან გეუბნებოდი, იმაზედ მიბარებს, წამოიძახა ვასილმა, ბანქო საჩქაროდ დაგდო და დაფაცურდა. პაპიროსიც პირში ჩაიდვა და ჯიბაში წუნწუმის კოლოფს ძებნა დაუწყო.—უკაცრავათ, გრიგორი მიხეილ[illegible] თან ეუბნებოდა სტუმარს. ჩემ მოსვლამდი [illegible] როგორმე. მე ეხლავე მოვალ—დიდი, დიდი, ოცი წუთი ან ნახევარი საათი დამაგვიანდეს.

— რა ამბავია, ვასო, გამოილაპარაკა ანეტამ.

— არაფერი, ჩემო ძვირფასო, რაღაც ქარხნის პატრონი საჩქაროთ მიბარებს. მე ეხლავე მოვალ, სტუმარი ჩემ მოსვლამდი არ მოაწყინო, მე ეხლავე მე ეხლავე, თან ამბობდა ვასილი და თან ქუდს ეძებდა.

— არა, ჩემო ძმაო, ნაღვლიანათ წარმოსთქვა სტუმარმა, ისეთი ხმით, თითქო მამის სიკვდილი შეატყობინესო,—მეც სჯობიან ჩემს გზას გავუდგე. შენ როდის მოხვალ, ღმერთმან იცის. მე ვიცი იმ ახალ მანქანაზე გექნებათ სჯა-ბაასი და ხვალ დილამდი ღმერთმან მშვიდობით გაგათავებინოთ.

— არა, არა, ნუ ჩქარობ, გრიგორი მიხეილიჩ! მე ეხლავე ღმერთმანი, თამაშობა გავაგრძელოთ.

— მაშ ჩქარა თუ არ მოხვედი? თითქო განჩინებას უცხადებსო, მიუგო სტუმარმა,— იცოდე გავიქცევი. ქალებთან ჯდომა, მართალი გითხრა, ჩემო ძმაო, ბევრი არა მჩვევია. ჩემ ცოლთანაც მომეწყინება ხოლმე...

მასპინძელი საჩქაროთ გავიდა, სტუმარი სავარძელზე იჯდა, ხელში ბანქოს გროვა ეჭირა და ურევდა. დიასახლისი გულ-ხელ დაკრეფილი კუთხეში იდგა. ის იყო ასე ოცდა ხუთი წლის, საშვალოზე ცოტა მაღალი, კარგა შეთქვრებული ლამაზი ქალი.

ორთავეს სახე ეფითრებოდათ. სტუმარი ოდნავ აძაგძაგდა და დაკვირვებით ქალს შეაჩერდა.

— ანეტა, ჩუმათ წარმოსთქვა მან?

— რა იყო, მიუგო ქალმა.

— რავა რა იყო, ყოველთვის ასახსნელია? ვერა მხედავ? კაცი ლამის დავდნე.

ქალმა იჭვიანათ შემოხედა. დამდნარზე არაფერი მიუგავდა, კარქა ,,შეტოკორებული'', ასე ოცდა ათის ჯეილი იყო.

— ენას ძვალი არა აქვს, მიუგო ქალმა,—თქვენ სულ მასთე იცით! ქალს აედევნებით ცოფიანი ძაღლივით, გულს აუძგერთ, სიყვარულს გაუღვიძებთ და თუ როგორმე პირუტყული მოთხონილების დაკმაყოფილება მოასწარით, უკანმოუხედავათ გაიქცევით...

— ღმერთი, რჯული...

— სუთ, სუთ, კმარა! ყურები გამომეჭედა მაგ ნაირი სიტყვებით, იმ დღეს რათ არ მოხვედით...

— შენ თავს ვფიცავ, ჩემო ანგელოზო, ათრთოლებულათ წარმოსთქვა გრიგორმა და ქალისკენ გაექანა.

— სუთ-მეთქი, იქით დაიწიეთ, ფანჯარაში ვინმე შემოიხედავს. გრიგორი მიხეილიჩმა შეშინებული ირემივით ფანჯრები აათვალიერა. ფანჯრებზე ყოველგან ფარდები იყო ჩამოფარებული და ვისიმე გარედან შემოხედვა საშიში არ იყო.

— ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო ანგელოზო! ცანა ისე მიყურებ? ჩემო ძვირფასო. შენ ნახვას და შენ სიახლოვეს ყოფნას განა რამე მირჩევნია ამ ქვეყნათ!? მაგრამ ხომ იცი შიში... შიში... და ქვეყნის შურიანი და ბოროტი თვალი. განა არ იცი, ჩემო ღვთაებავ, რომ გარეშე მაყურებლების ხარბ და შურიან თვალებს აღარაფერი გამოეპარება... მეშინიან... მეშინიან, ჩემო გულის ლიტევ... ამ სიტყვებით ნელა კისერში ხელი მოხვია ქალს. ქალი არ ეწინააღმდეგა და ორთავენი ერთმანეთს გადაეკონენ.

— ჰო, ვითომ მეალერსები, ვითომ გიყვარვარ? მომდურავი კილოთი ეუბნებოდა ქალი.—გუშინ წინ არ დაგინახე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გგონია გამომეპარე? ვიღაც სქელ-სქელ ქალს მიყვებოდი და ისე ევუნტრუშებოდი ამ ჩემ ფანჯრის წინ, თითქო მე მაჯავრებდი...

— აბა რაებს მეუბნები, გენაცვალე, ხომ არ მოგჩვენებია, რას ამბობ!! უიმისოდაც ეს არის კაცი გადაფირიო და შენ კიდევ რა ნაირ სიტყვებს მეუბნები. რატომ არ დაიქცა ის დღე, მე შენ როცა პირველათ დაგინახე... ღამე არა მძინავს, სმა-ჭამა ჩემთვის გემრიელი არაა... უბრალო კაცის შებრალებაც არა გაქვს? გულში ქვა გიძევს? გულ-აჩჩვილებულათ დაუმატა გრიგორმა.

ქალმა არა მიუგო-რა, მხოლოთ კაცის მკერდს მიეხუტა.

— ჩემო ოქროვ, ჩემო ალმასო, წაბლის ფერ ხშირ თმაზე ხელ გადასმით გააგრძელა სტუმარმა.—განა არ იცი, განა არ იცი ქვეყნის შურიანი და ხარბი თვალი... განა არ იცი, სულიკო? ჯერ ერთი ჩემი ცოლი. უჰ! რა იჭვიანია, რა იჭვიანია, ისეთი იჭვიანია, როგორც ბებერი ურია? „პროკურორია რაღა, პროკურორი", ყოველ ფეხის გადადგმის ანგარიშს თხოულობს... მგონი კიდეც შეეპარა ცოტა ეჭვი... რაღაც საეშმაკოთ, გენაცვალე, ამ დღეებში შენი,—გენაცვალე, შენობით ვილაპარაკოთ! ქალმა ამღვრეული თვალებით ახედა და ოდნავ უჯასტური, კაცი დაეწაფა და ცხელ-ცხელი კოცნით დაუფარა ლამაზი ლოყა-ტუჩები.

— დიახ, გენაცვალე, რაღაც საეშმაკოთ შენი ქება შემცდა.—ეს რომელი ანეტა ყოფილაო, ოდნავ მაღლა ცხვირის აწევით, ცივათ შენიშნა ჩემმა ცოლმა.—ჰო, ჰო, ვიცი, ვიციო, მე მაგას ვიცნობო. ცუდი არაფერი უთქვამს, მაგრამ შენი მტერი, სახეზე შევატყე, რომ „ინსტინკტმა" რაღაც უსიამოვნო და საეჭვო გულში ჩასძახა.

— მისი ქმარი და მე გულითადი მეგობრები ვართ-მეთქი, ვუთხარი. იმან კი საორჭოფოთ ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მეც, რა თქმა უნდა, ავიბნიე და თუმცა საჩქაროთ სულის სიმხნევე მოვიკრიფე და თამამი გამომეტყველება მივიღე, მაგრამ ერთ წამს სახეზე შეცვლა და ფრთხილათ აქეთ-იქით მიხედვა საკმარისი იყო, მის გულს ეჭვის ბურუსი გარდაფენოდა. ბედზე, ამ დროს, ჩემმა ბიჭუნამ, ჩემმა პაწია გიგომ ისეთი ბღავილი მორთო აკვანში, რომ, მგონია, ჩვენი მეეზოვე, გულ-ქვა არსენაც, დააფრთხო. დედა მაშინათვე შვილისაკენ გაექანა და მე ისე ოსტატურათ გავაბი ლაპარაკი სულ სხვა საგანზე და ისე მივეალერსე, რომ შენი აქ ქვეყნათ არსებობაც დავავიწყე... საშიშია, ჩემო სულიკო... მეშინიან... აგრეთვე ვასო! ვასო! ვაიმე, რამე ეჭვი თუ აიღო, ხუმრობა როდია, გენაცვალე, საცოდაობა დატრიალდება. სიფრთხილეს თავი არა ტკივა, ჩემო სიცოცხლევ, სიფრთხილეს!..

— ვასოს მაგისთანებისთვის არა ცხელა. მაგი არავითარ ეჭვს არ აიღებს. ის ძილშიაც მანქანებით ბოდავს...

— სიფრთხილე მაინც, გენაცვალე, სიფრთხილე! ცოტა გაჭიანურებულათ ამბობდა სტუმარი და ქალს გულში იკრავდა.

— ჩემო გვრიტიკო, ჩემო გვრიტიკო,—ღუღლუღებდა ქალიც.

— ოხ! რომ იცოდე, გენაცვალე, რა რიგათ გული მიღელავს, როცა ამ ეზოში შემოვდივარ, როგორ მივდივარ არც კი ვიცი. კედელი, ქვა, ხე სულ მე მიყურებს, მგონია. თქვენმა მეეზოვემაც, ვიღაც უშნო კრუამაც, დღეს, რომ მოვდიოდი, რაღაც იჭვნეულათ შემომხედა, თუმცა თავდაბლა ქუდი მომიხადა და ცოცხიც ძირს დაუშვა...

— შენ ალბათ გელანდება, ხომ გაგიგონია: ქურდს ქუდი ეწვისო, სიცილით მიუგო ქალმა.

— შეიძლება, შეიძლება, ჩემო მტრედუნავ, ჩემო... სთქვა გრიგორმა და...

— არა, სუ! უცბათ წამოიძახა ქალმა და შეიკუმშა... ეს არ შეიძლება... არა... არა...

— ჩემო თვალის ჩინო! ჩე...

— არა, არა!

— მაშ შენი ხელით მომკალი...

— ისე გვიყვარდეს, ერთმანეთი, გრიგორ, ეს არა, აი თუ გინდა მაკოცე!

— მე თავი ცოცხალი არ მინდა! მე... იცოდე, რომ... თავს მოვიკლავ... მე, შენ გალმერთებ... მე შენთვის ყოვლისფერი დავივიწყე.. ღმერთო ჩემო, არ ვიცი რა ამბავია ჩემს თავზე... მე ჩემს თავს არ ვეკუთნი... იცოდე, რომ სინიდის-ს წინაშე პასუხის მგებელი იქნები... მაშ კარგი, შეწუხებული ხმით სთქვა სტუმარმა და ქალის ხელებისაგან განთავისუფლება მოინდომა...

— ჯერ კიდევ კარგათ გავიცნოთ ერთმანეთი გენაცვალე, ტკბილათ ეუბნებოდა ქალი და არ უშვებდა.—მერე, მერე, ჩემო ბიჭიკო, ეხლა, ან ვინმე მოვიდეს, ან რამე...

— თქვენი მოსამსახურე გოგო სადაა, რომ დღეს სრულებით არა ვხედავ: ათრთოლებით დაეკითხა გრიგორი.

— სხვაგანაა.

— მაშ ვინ მოვა, მაშ ვინ მოვა, თრთოლვით ამბობდა სტუმარი და ქალს გულში იკრავდა...

III

— ძლიერ მოგეწყინა? ბევრი დამაგვიანდა? შემოილაპარაკა ვასილმა და ქუდი დივანისაკენ გაისროლა.—უჰ! დავოფლიანდი, დავოფლიანდი, მაინც რა მოყრუებულ ქუჩაზე ვცხოვრობთ, კონკა ახლოს არ უვლის, სადმე წასვლა რომ გინდოდეს. ეტლი დაიჭირო, მაგრამ სად არის ეტლი! ერთი ვერსტის სიახლოვეს იმასაც არ შეხვდები, თუ არ შემთხვევით... უჰ! უჰ! ქშინავდა მასპინძელი და ცხვირსახოცით გაოფლიანებულ თმა-პირის სახეს და ჩასქელებულ კისერს იწმენდდა.—ვიჩქარე, ვიჩქარე, მაგრამ, მაინც...

— ეს არის, ძმაო, რაღა, ეხლა ვაპირობდი წასვლას, აი ვემზადებოდი კიდეც, ოცი წუთიო და საათი კი გავიდა, მხიარულათ მიეალერსა გრიგორი და თვითონაც ცხვირ-სახოცი პირის სახეზე წაისვ-წამოისვა და ერთიც ტანისამოსზე გაიხედა.

— ჰო, მართლა, რა ამბავი, რაზე მოგიხმეს ასე საჩქაროთ. რას ამბობს თქვენი ქარხნის პატრონი! მთაწმინდაში ქვა-ნახშირი ხომ არ აღმოჩენილა, ან სოლოლაკში ნავთი, გაიოხუნჯა სტუმარმა.

მათ ლაპარაკზე ანეტაც გამოვიდა.—რა იყო ვასოჯან, ტკბილათ დაეკითხა ცოლი.

— ბევრი არაფერი, სულიკო, მომიმზადე რაღა სამგზავრო აბგა, ხვალვე ბაქოში უნდა წავიდე.

— ხვალ დილითა? უსიამოვნოთ განიმეორა ქალმა და ძირს დაიხედა.

— ეხ! ბაქო კი არა, მაგათი დაქცევა... ამ დღესასწაულებში რაღათ გინდათ, კაცო, მანქანა.. აგერ ჩვენ თვითონ მანქანა არა ვართ?! გულ-ნატკენათ შენიშნა სტუმარმა.—შობას მინდოდა ანეტა და ჩემი ოჯახობა ერთმანეთისთვის გამეცნო, ჩემ ცოლს ძლიერ სწყურიან ანეტას გაცნობა, პატარაობის დროს იცნობდენ თურმე ერთმანეთს. . მაინც, შვილი; რა? ამ ექსპლუატატორების საქმე, სწორე გითხრა, მიკვირს; ერთი დღე მოსვენებული ვინ გაიგონა, სულ მხოლოთ შეძენის სურვილი კლავთ დღე და ღამ...

— რა ვუყოთ, გულ-დამშვიდებით მიუგო ვასილმა.—საქმემ, ჩემო კეთილო, დღესასწაული არ იცის... მარტო შეძენის სურვილით ნუ სჯით! თქვენ სამსახურის კაცებმა, ე. ი. მოხელეებმა, არ იცით რას ქვიან დიდი მრეწველობა. თქვენ

ზიხართ ლამაზათ, შენ ხარ, ჩემო ბატონო, თბილათ ოთახში, ან წერთ, ან ანგარიშობთ, იღებთ გადიჭრილ ჯამაგირს და გათავდა, შიში არაფრისა გაქვთ, თქვენი ლუკმა უზრუნველყოფილია...—მრეწველობაში კი ნამდვილი ბრძოლაა! მარტო შენ როდი ხარ; აი მეორეც შენსავით შრიამობს. შენ, ვსთქვათ, „პროტოკოლი„ შეადგინე, მოსკოვში შენმა თანამოხელემ კიდევ „პროტოკოლი“ შეადგინა. ნუ გეშინია დავას არ გაგიწევს ჩემი „პროტოკოლი“ უკეთესადაა დაწერილიო. ორთავეს უკრავენ შკაფში თავს და მორჩა... ჩვენთან კი სასტიკი კონკურენციაა გამართული! შენ აკეთებ შენ ქარხანაში რამე საქონელს, მეორეც აკეთებს და ცდილობს შენზე უკეთესი და უფრო იაფი გამოუვიდეს. შენც უნდა ეცადო უკან არ ჩამორჩე! თუ ცოტა უკან დაიხიე, „შაბაშ!“ დაიღუპები. დღე და ღამ უნდა ფიქრობდე, შენ მოპირდაპირეს წინ გაუსწრო... შობა კი არა, მგონი აღდგომაც დაგავიწყდება. აი ჩვენ პატრონს, ცოტა რამეზე, შარშან წინ, სულ უბრალო მიზეზზე კინაღამ „ფირმა“ დასაკეტი შეექმნა. ეჰ! ჩემო მეგობარო, რომ იცოდე, რა მქისეა მილლიონების საქმე, რა ბეწვის ძაფზე კიდია მისი ბედ-იღბალი? თუ მოიგო, ერთათ იგებს, თუ წააგო, ქვით!! ეს არაფერი, ვითომდა თავისთვის ჩუმათ დაუმატა ვასომ,—მე როგორმე რიგიანათ შევასრულებდე ჩემ დანიშნულებას, თორემ... იქაც ხერხი უნდა და? „არგამათ“ რომ მიხვიდე მაგათ ქარხანაში და ეს და ეს მანქანა მინდა დავათვალიეროვო, რომ უთხრა პანჩურის ცემით გამოგაგდებენ. ფულიანებს ერთმანეთის ჟინი კლავს. ახალს რასმე ერთიმეორეს არ გაუმჟღავნებენ. ხერხი უნდა ვიხმარო და ისე მივიდე თითქო აქ არაფერიაო, წვრილ-ფეხობასაც აქა-იქ პირი უნდა გაუმტკბარუნო საახალწლოთ, ისე უნდა მოვიქცე, რომ არავითარი იჭვი არ აიღონო. ეს უნდა ქარხნის პატრონს. შობა დღეა ნამდვილათ ხელსაყრელი, მაგისთანა საქმისთვის,—მხიარულათ დაუმატა მასპინძელმა იმნაირ კილოთი, თითქო ახალი რაღაც აღმოაჩინაო.

— უი! როგორ იქნება, ღმერთო ჩემო, ესეც სამსახურია, უქმი არ გააჩნია და საქმე, ბუზღუნით წარმოსთქვა ანეტამ და მტირალი სახე მიიღო.—არ მინდა არა... შენ ხვალ წახვიდე... მინდა აქ დარჩე, არ მინდა, არა... ნუ წახვალ.

— კი, გენაცვალე, რა ვქნათ, ბეჩა აბა, ცხოვრება გვინდა. რაც შეიძლება ადრე ჩამოვალ, საახალწლოთ მაინც, უსათუოთ, მიეალერსა ქმარი.

— შენ ეს მითხარი, კაცო, და... ო... რა უნდა მეკითხა თითქო ძლიერ ეინტერესება ეს კითხვაო, წარმოსთქვა ცოტათ შეწითლებულმა სტუმარმა და ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა, მერე მაგარი ხველა აუტყდა... ჰო, ჰო! ეგ ოხერი, მგონია, სურავანდი დამმართნია... ჰო... ის უნდა მეკითხნა როგორა ბრძანდება თქვენი ქარხნის პატრონი?

— მაგას რა უჭირს! ჯერ-ჯერობით სალი კლდესავით არის საქმე... ო... მართლა ის კი არა, ისეთი გულმოსული დამხვდა, რომ შემეშინდა, კაცი არ გადაირიოს-მეთქი.

— რა მოსვლია?

— ჰმ! საკვირველია დღეს, რაღაც მაგნაირზე ვლაპარაკობდით ჩაიზე. გიმნაზიაში სწავლობს მისი ასე ცხრა-ათის წლის გოგო, თურმე ნუ მეტყვით წერილების გზავნა დაუწყია ერთ ბიჭთან. მამას რაცხაფრათ ხელში ჩავარდნია ეს წერილები, მგონია, იმ ბიჭის მამას გამოუგზავნია და შენი მტერი ისე გაჭირვებული იყო თურმე, სულ ცოფსა ყრიდა. მე რომ მივედი, ცოტა დამშვიდებულიყო, მაგრამ მაინც...

— ეჰე! ათი წლის ბავშვმა მიწერ-მოწერა გამართა ვაჟთან? ეჰე? დაფიქრდა სტუმარი.

— აბა, შე კაცო! დაიკარგოს მაგათი წერა-კითხვაც, მათმა ჯ: აბნვამ მე ცოტა ხელი ჩამიშალა... ის არა, შეიძლება მეტი ფულები მიეცა ჩემთვის სამგზავროთ...

— მერე. მერე, თქვენ გგონიათ, რომ ეს ამბავი ჩემ აზრს არღვევს, საქმიანათ წარმოსთქვა სტუმარმა, პირიქით, ვასილი, დამერწმუნე, ამტკიცებს!

— ჩემთვის სულ ერთია, გულგრილათ მიუგო მასპინძელმა, მე ხომ მოგახსენე პედაგოგი არა გამეგება-რა მეთქი.

კოდრა პატრია.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთური-იქითური.

ვერ წარმოიდგენთ, ბატონებო, ამ ჟამათ, ე. ი. ამ წერილის წერის დროს, რა გაჭირვებაში ვარ! ღამის პირველი საათია. ჩემს გარშემო ყველასა სძინავს. ვინ იცის ტკბილ სიზმრებსაც კი ხედვენ და მე კი? ვზივარ ბაიყუშივით და ვფიქრობ... მინდა დავწერო რამე თქვენდა საყურადღებოთ, ,,საამიკოთ, სალაღობოთ, ამხანაგთა სართველოთ'', ერთი სიტყვით, მინდა საკვირაო ფელეტონი გამოვაცხო, მაგრამ... (ოხ, ეს ვერანა ,,მაგრამი'' ბოლოკივით არ ამოჰყოფს ხოლმე თავსა!) დიახ მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ჩემ ქეიფზე არ გახლავთ საქმე! მე რომ თავისუფალი კაცი ვიყო—მეც ახლავე ან დავწვებოდი და დავიძინებდი (რაც ყველაზე საადვილოა ქართველი კაცისათვის) ან არა და ხელათ ისეთ უცნაურ რასმეს გიამბობდით, რომ ,,ქრისტეს მცნების მიმდევარი'' რედაქცია ჯოჯოხეთათ წარმოგედგინათ, ისეთ ჯოჯოხეთათ, სადაც ერთმანეთს მუშტით სახეს უბეგვენ საბივშტექსო ხორცივით და თან გაიძახიან: სამართლიანნი, დიდსულოვანნი ვართო!... ეჰ, უბედურებაც ის არის, რომ თავისუფალი არა ვარ!..

დღეს რედაქტორმა მიბრძანა (არა, უკაცრავათ, მიბრძანა კი არა, მთხოვა) დასწერე რამე: ყოველდღიურ ქართული გაზეთების ამბები შეატყობინე ყოველკვირეულ გაზეთის მკითხველებსაო. კეფა მოვიფხანე, მაგრამ რა მეთქმოდა? ან კი მეტი რა მოხელე-ნაჩალნიკი ვარ, თუ ღმერთი გრწამთ, რომ მკითხველებს ვერ გამოველაპარაკო! მოვხიკე მთელის კვირის ქართული გაზეთები, გადავარჩიე, ჩხუბი არ მოუვიდეთ მეთქი,—დარბაისელი ,,ივერია'' მარჯვნივ დავასვენე, ფიცხი ,,ცნობის ფურცელი''—მარცხნივ, ვახსენე ღმერთი და ხელმეორეთ შევუდექი თითოეულის ნომრის კითხვას.

მართალია თავის დროზე ყველა გაზეთი წაკითხული მქონდა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ და მტრების სასიხარულოთ, მეც ისეთივე გულმავიწყი ვარ, როგორც ,,ივერია'' და მოუსვენარი, როგორც... როგორც (ეჰ, ჯანი გამვარდეს, თუ მუშტები მომხვდება!), როგორც თავადი დ—-ძე.. ჰო, იმას ვამბობდი, კიდევ გადავიკითხე მთელი კვირის ნომრები, მაგრამ... არა, ძმავ, ,,აათრინე ალალიო, რაც არ არი,—არ არიო''—ნათქვამია. ვერაფერი ვნახე ჩვენის მკითხველებისათვის ახალი, საყურადღებო. ვფიცავ სიტყვა-კალმის ალლეგორიას და ჩითრას გაცოცხლების დღეს, რომ მართალს მოგახსენებთ!

ღარიბ მკვდარს სუდარათ გამოადგებოდა, იმოდენათ გაჭიმულა ,,ვითომ და თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების'' მოტრფიალე გაზეთი (არა თუ?) და .. ღმერთო შეგცოდე, ქართულის მალმერთებელი საქართველოს ჭირ-ვარამი განზე გაუგდია! ხუთ ვეებერთელა ნომერში, რომელთაგანაც თამამათ ორი საზაფხულო საბანი თუ არა, ერთ-ნახევარი მაინც გამოიჭრება,—სულ ოთხი პაწია კორესპონდენციაა დაბეჭდილი! აი მოკლეთ მათი შინაარსი:

პირველი: ქიზიეი. ღვინის ფასმა აიწია... ჩარჩები სჯამენ მთელ ქიზიეს. (,,ივერია'' № 2).

მეორე: კპვკპვი. წ. გ. ს. სასარგებლოთ ჩვეულებრივი ადამიანი გაამართა. (იქვე).

მესამე: ანბანა. გზები არა გაქვს, ტალახში ვირჩევინთ!.. ჩვენებური ინტელიგენტია არშიყობას უნდა! (,,ივ.'' №3).

მეოთხე: სიონი. ,,ადიეს ვეღირსეთ ჩვენი (ს) ბიბლიოთეკის წლიურ კრებას და გვიგეთ მისი მდგომარეობა!.. სხვა?.. უკაცრავათ, კიდობანში პური აღარ გახლავთო, მოგახსენებენ. მაგრამ არის კიდევ წერილი ერთი სვანეთიდან ისევ უგზოობისა და უხიდობისა და სვანთა უმეცრების შესახებ და ერთიც შავი ქვის მრეწველთა კრების გამო, ხოლო აქ ,,კვალის'' მკითხველებისათვის უცნობი არა არის რა, ისე, როგორც უკვე იცნობენ წარსულის წლის ნამოღვაწევს ჩვენში და სხვა გან. მაშ, რაღა ბედენაა ყოველ დღიური ზორბა და ტლანქი გაზეთი? ოხ, სადა ხარ ,,ცნობის ფურცელო'', რომ სულ ცხვირში ძმარს არ ამოადენ ,,ივერიას'' და არ უსაყვედურებ: ,,საქართველოს ჰირისუფალო! რატომ არ გინებებია კორესპონდენტების მოწვევა, რათა კიდით-კიდემდე ხმა მიაწვდინო ქართლოსიანთა და დაანახვო თვისი გაჭირვება, თვისი წყლულნი, თვისი ავი და კარგი. მარტო ჩემი ლანძღვა ხომ არ გაცხოვნებს-თქო?

ოჰო! აქა ყოფილხარ? რას გაჩუმებულხარ?...მაიცა, შენთვისაც მოვიცლი...

ხუმრობა იქით იყოს და... თუ ასე სანთლით საძებარი გამიხდა დღიურ გაზეთებში საქართველოს მაჯის ცემის დამასურათებელი ყოველდღიური ამბები, მალე ,,ოსტავკა'' უნდა შევიტანო ,,სადაც ჯერ არს'', თორემ ვისა აქვს თავი ლათაიების კითხვისა!..

მართალი მოგახსენოთ, მე რომ ,,ივერიის'' მეთაურებსა ვკითხულობ ხოლმე, ცოტა არ იყოს მეშინიან კიდეც: ასე მგონია ვიღაც ფუყე ბუმბერაზი ორჩოფეხებზე შემდგარა და ყვავივით თავზე დამჩხავის-მეთქი. საანბანო ჭეშმარიტებას რაღა ზარი და ზეიმი უნდა, თქვე კურთხეულის შვილებო! თქვენ საქმე სთქვით, საქმე! ასწავლეთ რაიმე თქვენ მკითხველებს, შეაგნებინეთ, რომ ცხოვრება თავად-აზნაურებსა და სამღვდელოების ჯიბეში კი არა ზის, არამედ იგი ქუჩაში გამოვიდა, ადუღდა და ჩვენც თვალები უნდა გავაჭყიტოთ, მარტო მომზადებულნი კი არა, თანაზიარნიც უნდა ვიყვნეთ სანეტარო მიმავლისა. თორემ... ,,ქართველები ვართ, ენა გვაქვს, ლაპარაკი და წერა ვიცითო''... ეს ხომ ორიათასი წლის თამასუქია! დარწმუნდით, რომ ის, რის აღდგენასაც თქვენ ვითომდა სცდილობთ ,,კორთების ქვეშე დამარხულია''. ნუ თუ გავიწყდებათ, რომ დღეს მე-1903 წელიწადია!?

მაგრამ, უკაცრავათ, ,,ივერია'' არც ისეთი გულმავიწყია! 1902 წლის მიწურულებში დაიკვეხა, რომ ჩვენი რედაქცია—,,ქრისტეს მცნების მიმდევარიაო'' (სთქვა რუქამ არაკი!) და 1903 დასაწყისში კი... ლამის ჯვარს აცვას ,,ცნობის ფურცელი'' და ბ. ა. ღულაძე!.. რათა? რისთვის? აქვს რაიმე ხნეობრივი უფლება თუ არა? იმიტომ, რომ ბატონი თავის ნებაა!

ამდენ ლაპარაკში ,,ცნობის ფურცელი'' კიდეც დამავიწყდა. სულ ჩვენებური პაპლაუქობის ბრალია, თვარა არც კი შენა ხარ მაინც და მაინც უცოდველი!.. ხან მოიდემოკრატებ... ხან კი ,,ივერიას'' არ ჩამოურჩები, თითქოს იმის ანარეკლი იყო! მაშ რაღას გიწყრება დარბაისლების გახეთი? იმას, რომ ერთმანეთისა არა გესმით-რა,—თუმცა ერთსა და იმავე ღმერთსა მსახურებთ... ალლახი იყოს თქვენი გამკითხავი!.. ჩემი დარდი კი ის არის, რომ იმ დროს, როდესაც ივერია იერიქონის საკრავებს აყვირებს, ,,არა იმიტომ, რომ შენ რედაქციის ძირი გამოგითხაროს, ორამედ გონებაზე მოგიყვანოს და სწორ გზაზე დაგაყენოს'', ხოლო შენ კი სულ უცხოეთზე ლაპარაკობ,—აქვე ჩვენ [illegible] ქუთაისში უნდა გაწესრიგდეს ათასი [illegible] ლი ხალხის საქმე, და მე კი არ ვიცი, რა შევატყობინო ჩემ მკითხველებს ამ ხალხის ბედის შესახებ... ჩემი რა ბრალია, შემომიტევ! ოღონდაც! ჩემი ბრალია ჩემი! რატომ გულთმისანი არა ვარ!?.

საზოგადოთ იშვიათათ ვეთანხმები ხოლმე ჩემის მიმართულების წინააღმდეგ კაცსა, მაგრამ ამ ჟამად ერთში კი უნდა დავეთანხმო ბ. ვასილ წერეთელს, რომელიც ,,ივერისი'' მეხუთე ნომერში სწერს: ,,დადგა დრო მარგანეცით მრეწველთა საზოგადო კრებისა, მაგრამ არც ერთი ქართული გაზეთი მზათ არ არის აუწყოს საზოგადოებას საქმის დაწვრილებითი გარემოებაო''. სრული ჭეშმარიტებაა! ან კი საიდგან იქმნებიან მზათ, როდესაც შემოხვევითი მოამბენი ჰყავს. თუ რომელიმე მოცლილმა ინტელიგენტმა მოაწოდა რაიმე ცნობა რისამე შესახებ, ღმერთს უმადლიან, თუ არა და... სხედან გულ ხელ დაკრებილები. და ოთოთაანთ ქორივით მახლობლებს ჰქოჩრავენ და სულ იმას გაიძახიან: ფული არ გვაქვს ფულიო!..

ახა, დამერთო! ფული საიდგან ექმნებათ! ვის რაი უნდა ცარიელი გაზეთი... მჯავე პატრიოტობის ხანა წავიდა! რედაქციები საქველმოქმედო დაწესებულებათ აღარავისა ჰგონია! ახლა ხალხს ცოდნა, ცოდნა სწყურიან; სწყურიან ნათელი აზრი, უნდათ სამსჯელო ფაქტები, სურთ გაიგონ თავის სამშობლოისა, მშრომელი ხალხის ვითარება! მიაწოდეთ საღა საზრდო, ფხიზელი აზრი, ცხოვრების ალღოს ჩაუდექით კვალში და ყველაფერი გამოკეთდება

მაგრამ კმარა! რახან ერთი კვირის გაზეთებმა არა მოგვცეს-რა ჩემ მკითხველო, მოდი ისევ ჩვენის რედაქციის ნაგვის გოდორს მივმართოთ (ბოდიშს ვიხდი, ცოტა პოეტური სიტყვა არ არის ,,ნაგვის გოდორი'', მაგრამ ასე ქვიან იმ კალათას, სადაც განისვენებენ ხოლმე დაწუნებული წერილები და რა ჩვენი ბრალია). დიახ, სანაგვე გოდრის ღირსნი წერილებიც ნათლათ გამოსთქვამენ ზოგიერთთა გულ-ზვიად პატრიოტის გულის თქმათა.

ბ-ნი სილოვანი ძალიან გაუჯავრებია ბ. რიგოლეტოს საახალწლო ფელეტონს და ისე გაცეცხლებულა, რომ „კვალის" რედაქციის გზაც-კი დავიწყებია. დაუწერია სამგროშიანი ღია წერილი, გამოუგზავნია ბ. თავართქილაძის სახელზე და სთხოვს გადაეცით „კვალის"გამგესაო". წერილმა რასაკვირველია მოაღწია გამგემდის, რომელსაც ნაგვის გოდორში უნდა ეტუცვინებია თავი წერილისათვის, მაგრამ მე ხელი წავატანე და წავიკითხე. შიგ სწერია... მაგრამ არა, ალბათ, თვით ბ. სილოვანს ეხამუშება წერილის შინაარსის გამოქვეყნება და ალბათ იმიტომ მოუარა სოლოლაკისაკენ. მე პირადათ არ მსურს ბ. სილოვანის გაჯავრება, ღმერთმა დამიხსნას პოეტების გულისწყრომისაგან. მე მხოლოდ მინდა ამოვიწერო ორი-სამი წინადადება, რისთვისაც აღარ ვბოდიშობ. ეს წინადადებები ნათელ ჰყოფენ რამდენათ თავაზიანენები ვართ ქართველი პატრიოტები და ან როგორ გვიყვარს ის დაწესებულებანი, რომლებიც ნაკადულნი არიან ჩვენის კულტურულის წინმსვლელობისა—ჩვენი რედაქციები: „...ხოდო ჩვენს რედაქციებს არ ეშინიებათ, რომ ახალი (ახალ) წლის პირველი (პირველ) დღიდგანვე იწყებენ (ხოლმე) კბენას და კბენითვე ათავებენ წელიწადს..." და სხვა, გვისაყვედურებს ბ. სილოვანი. როგორც გინდა ბრძანეთ და მე კი ქართულის ენის დახელოვნებულ მცოდნესა და მკვლევარისაგან არ მო-

ველოდი ამგვარ ლექსის ხმარებას რედაქციების შესახებ. კბენაო იწყებენ და კბენითათვებენ... მშვენიერებაა!

უფრო მშვენიერი ყოფილა ჰიათურის საურთიერთო ნდობის ბანკის მოქმედება. მოისმინეთ. წესდების თანხმათ ყოველი გარდაწყვეტილება „პრიომნი კომიტეტისა“ საიდუმლოებით უნდა იყოს მოცულიო (§ 8), მაგრამ თუ წევრის მიღებაზე ან ფულის გაცემაზე უარი სთქვა, მეორე დღეს ეს ყველამ იცისო“, გვწერს ერთი კორესპონდენტთაგანი და დასძენს, რომ ამ გამომჟღავნებას ათასგვარი უსიამოვნება და ძალმომრეობა მოსდევსო. გარდა ამისა ხშირათ ირღვევა თურმე ბანკის წესდების § I, რომელიც უკრძალავს კრედიტის გადიდებას. ბანკის დირექტორები კი თავის ნებაზე ატრიალებენ თურმე წესდებას და ვისთვისაც სურთ იმას უდიდებენ კრედიტს.

ნაკლებათ უცნაური ხალხი არც ბაქოში ყოფილა იქაურ ქართველთ შეუდგენიათ სცენის მოყვარეთა წრე და წარმოდგენების გამართვას აპირებენ თურმე. ერთი წარმოდგენა კიდეც ჰქონიათ ბაქოს საკრებულო საზოგადოების დარბაზში. წარმოდგენას გვარიანათ ჩაუვლია, საკმაო ხალხიც დასწრებია, მაგრამ სულ მდაბიო. არც ქართულ წარმოდგენამ და არც მისმა მიზანმა (ქართულის სამკითხველოს სასარგებლოდ იყო წარმოდგენა) ვერ მიიტყუა და ვერ შეიტყუა თურმე ბაქოს „ბურჯები“, ე. ი. ქართველები съ положеніемъ და სქელჯიბიანები. ვინც კი მოვიდა თურმე, მაშინვე უკან გამოქცეულა, რაკი დაუნახავთ, რომ დასში მკერვალიშვილიც ერია იქაურ „დიდრონებს“ უსიამოვნება აქვთ მკერვალიშვილთან და ამიტომ წარმოდგენასაც გაურბიან. პატრიოტობაა მა რა ცეცხლია!..

დასასრულ მსურს, რომ ეს ჩემი საუბარი მხიარული ამბით გავათავო: ამა წლის იანვრის ოთხსა დღესა ჩიორა გაცოცხლებულა! უხაროდეს დუტუ მეგრელს, მხოლოდ ბ. სილოვანს კი, მგონი, არ გაეხარდება, რადგანაც რიგოლეტოსა და ჩიორაზე დიდათ არის გულნაკლული!..

ი. მარჯანიძე.

ვასული წელი რუსეთში.

1902 წელი ჩაულაბა ჟამთა მიმდინარეობამ და დღეს ჩვენ უკვე მეოცე საუკუნის მესამე წელიწადში გადავდგით ფეხი. იმედებით სავსე, რწმენით აღფრთოვანებული მივეგებეთ ახალ წელს, მივულოცეთ ერთი მეორეს გულითად სურვილების ასრულება, იმედების განხორციელება; მარა აგვისრულდება ჩვენი გულის წადილი ამ წელში, თუ კიდევ ბევრი შრომა, დიდი ენერგიული მოქმედება დაგვჭირდება, რომ ერთი ნაბიჯით მაინც მივუახლოვდეთ სასურველ მიზანს, რომელიც ჩვენი მიზნის განხორციელება უნდა მოგვცეს, აი კითხვის პასუხი ჩვენთვის ჯერ გადაუწყვეტელია. თუ გონების თვალით გადავხედავთ ისტორიულ წარსულს, იმ ეკლიან გზას, რომელიც განვლო კაცობრიობამ დღემდის, მაშინ სწორეთ პირადოქსთ გვეჩვენება ის აზრი, რომ კაცი კი არ არის შექმნილი ცხოვრებისათვის, თვითონ ცხოვრება შექმნილია კაცისაგან თავისთვისო. როგორც მაშინა, რომელიც კაცის გონების და შრომის ნაყოფს შეადგენს, მოსამსახურეთ იხდის თავისსავე შემქმნელს, უბრალო მანქანათ აქცევს, ასახიჩრებს, სჭყლეტს, თუ უკანასკნელი წინააღმდეგ და თავისუფალი მოძრაობა შეუშალა; ისე ცხოვრებასაც მაგრათ უჭირავს კაცი თავის მძლავრ ბრჭყალებში, მონა-მორჩილივით ემსახურებს და მაქანებს იქით, საითაც სურს. კაცი კი, ეს სუსტი, საბრალო არსება, ამათ ცდილობს, გზა შეუკრას მას. ბრძა თავმოყვარეობა აგონებს მას, რომ ის თვითონ არის ცხოვრების მბრძანებელი და შეუძლია თავის ნებაზე შეაჩეროს მისა მსვლელობა ეს არ სურს შეიგნოს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ცხოვრების გასაძღოლათ საჭიროა მისი რთული მეხანიზის შესწავლა, შეგნება მის უველა მოთხოვნილებათა და მათი დაკმაყოფილება. ვინც ცხოვრებას წინ გადაეღობება, ვინც მისში მოლოთ თავის პირად ინტერესების ეძებს და არა საზოგადოებას, მთელი კაცობრიობის ბედნიერებას, ის ცხოვრების ბუნებრივ მობელი კანონების სხვერპლი შეიქნება. მარა კაცი მაინც არ ცხრება. მას არ სურს დაემორჩილოს ცხოვრების ძლიერებას. ის ცდილობს ისეთი საშუალებები მოიგონოს, რომელთა შემწეობითაც შესაძლო იქნეს ცხოვრების მძლავრი მაძრობის შეჩერება, ერთ წერტილზე შეყენება. მარა ეს შეუძლებელია. ცხოვრების ნაკადული ანგრევს, ანადგურებს ოკეანეკვარ დაბრკოლებებს, რომლებიც კი მას გზაზე ედგებიან და რაც უფრო ძლიერი იყო წინააღმდეგობა, იმდენათ უფრო ძლიერი და მგრგვინვარე იქნება ცხოვრების გამარჯვების გამოძახილი...

გასული წელიც, როგორც სხვა ეოველი, ასეთ ბრძოლას წარმოადგენს ადამიანისას ცხოვრებასთან. მარა ამ ბრძოლას აქვს თავისი განსაკუთრებული ხასიათი. არის ხოლმე ისეთი მომენტები, როცა ადამიანი ცხოვრების ძლევამოსილი მსვლელობისაგან მეფრთხალი, შეშინებული მაინც არ კარგავს სავსებით იმედს, და ცდილობს პალიატიური ზომებით დააკმაყოფილოს მის მიერ წამოყენებული კითხვები. მარა განა შეიძლება ცხოვრების მოტეუიდება? საბრალოა და ოან სასაცილო კაცი ასეთ შემთხვევაში!

წარსული წელი არა ერთსა და ორ მაგალითს გვაძლევს ასეთი ცდისას, რომელთა მიზანიც იყო ცხოვრების მიერ წამოყენებული საჭირბოროტო კითხვების გადაჭრა.

ასეთ ცდას წარმოადგენს, მაგ. სასამართლოს წესდების პროექტი, რომელიც შეიმუშავა სპეციალურათ ამ მიზნისთვის შემდგარმა კომისიამ. ამ პროექტს არავითარი ძირითადი ცვლილება არ შეუტანია ჩვენ კანონმდებლობაში, და ეს არც ჰქონია მიზნათ.

მან თითქმის ხელშეუხებლათ დასტოვა ძველა საუკუნოვანი კითხვები. სასამართლოებში საქმის წარმოების გასაუმჯობესებლათ, ამ პროექტის შემდგენელთა აზრით უნდა ჩამოერთვას ზოგი უფლებები გამომძიებლებს და გადაეცეს ადმინისტრაციას. მაგ., ის შეეხო საერობო უფროსთა უფლებების (земскія начала) განსაზღვრას და საჭიროთ იცნო მათთვის მსაჯულის უფლებების მინიჭება, თუმცა საერობო უფროსი ადმინისტრაციის წარმომადგენელია. ამსაირი რეფორმები ცხადია ვერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელიც წამოაყენა გართულებულმა ეკონომიურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ. და ეს ცდა კანონმდებლობის გაუმჯობესებისა უბრალო ცდათ დარჩება.

ადნიშვნის დირსია აგრეთვე სამინისტროს პროექტი მწარმოებელთა პასუხისმგებლობის შესახებ.

საფაბრიკო კანონმდებლობა, როგორც ეს ესმით დასავლეთ ევროპაში, ჩვენ რუსეთში ჯერ არ არსებობს.

ამის მიზეზი რუსეთის კულტურულ პოლიტიკურ-პირობებია მართალია არსებობს საფაბრიკო ინსპექტორები, რომელთა ვალდებულებაა შეადგენს მუშათა და მწარმოებელთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება. მარა ცხოვრებამ მალე დაგვანახვა, რომ ამით არა თუ შეცირდენ მუშათა არეულობები, კიდევ უფრო გაძლიერდენ და გაძლიერდენ. ამის მიზეზი ბევრია, მარა მათ არ ვეხებით. 1901 წ. 26 ნოემბრის კანონის ძალით საფაბრიკო ინსპექტორ შემოღებულ იქნა ქუთაისის და ჩერნომორეის გუბერნიებში. ამის გამო ეი რას სწერდა „Вѣстн. Финансовъ“ (1902 წ. № 3): „უკანასკნელი წლების განმავლობაში თეოლისში დაიწყო მუშათა არეულობები; გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ამის მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში შრომის პირობების არასასურველი მდგომარეობა იყო“.

საინტერესოა აგრეთვე უწმ. სინოდ. ობერპროკურორის ბოლოდროინდელი აზრი საფაბრიკო კანონმდებლობის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო „Отчетъ Госуд. Совѣта“-ში: „მეფაბრიკეებმა, სწერს ის, თვითონ შეიგნეს, რომ შეტათ გრძელი სამუშაო დღეები არ ეთანხმებიან არც მწარმოებელთა და არც მუშათა

ინტერესებს, და ბევრმა მათგანმა თავის ნებით შეუმსუბუქა ამ უკანასკნელთ ჯაფა კანონმდებლობა საჭიროა, იმიტომ რომ ისგამოწვეულია ზნეობრივი მოტივებით, კაცთმოყვარეობით, მოწყალებით და უძლურებზე ზრუნვით".

მწარმოებელთა პასუხის-მგებლობა დასახიჩრებულ მუშების წინაშე არ ესება ყველა წარმოებას. ამ კანონს ექვემდებარება: 1) ისეთი წარმოება, რომელიც ასაფეთქებელ ან შხამის მქონე ნივთიერებას ამზადებს; 2) ისეთი წარმოებები, სადაც მეხანიკური მაშინა მუშაობს, და 10-ზე მეტი მუშაა; 3) ყველა წარმოება, სადაც 25-ზე მეტი კაცი მუშაობს.

მეფაბრიკე პასუხისმგებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მუშის დასახიჩრება მისი მიზეზით არის გამოწვეული, და რადგან ამის დამტკიცება მეტად ძნელია, ისუმთავრესათ თავისუფალი რჩება ყოველგვარი პასუხისგებისაგან და ჯარიმასაც, რასაკვირველია არ იხდის. გერმანიაში სტატისტიკური ცნობებით ისეთი უბედური შემთხვევები, როცა ბრალი არც მუშას ედება და არც მეფაბრიკეს, საერთოთ უბედურ შემთხვევათა 44% შეადგენს, 24% შემთხვევაში ბრალი მუშას ედება, და მხოლოთ 19%-ში ბრალი მწარმოებელს ედება. თუმცა კანონი ამბობს, რომ მწარმოებელმა თვითონ უნდა დაამტკიცოს, რომ მუშის დასახიჩრება მუშისავე ბრალია, მარა ეს არც ისე ეძნელება მას, რადგან ძალა მის ხელშია, და მუშას არც შეძლება აქვს სასამართლოში სდიოს მწარმოებელს; ეს ხომ მის ოჯახის სულ უღუკმა პუროთ დატოვების და სიმშილით ამოწყვეტის ნიშანი იქნებოდა.

ამნაირათ საფაბრიკო კანონმდებლობა ასალ წლიწადს დარჩა შესამუშავებლათ...

ა. ზ—ი.

(დასასრული იქნება).

ს ა ც რ ფ ო ს...

(პოემა)

I

მეხვეწები ლექსი სთქვიო,
არ მეშვები, ჩემო მტრედო!..
შენის თხოვნის უკუგდება
თავს არ მოდის... ვით გავბედო?..
მაგრამ ენა მეურჩება,
გრძნობა ბორკავს სიტყვის ძალას,
დამეხსენი, გეთაყვანე,
გადამკიდებ ხათაბალას!..
არ ისვენებ?.. მაინც გინდა,
მოისმინო ჩანგის ჟღერა?
მაშ იცოდე: პოეტობას
არ ეწყობა ჩემი მღერა...

—

ლამაზი ხარ, როგორც ია,
ამოსული ლობის ძირას,
თავი მორცხვათ დაგიხრია
მშვენიერ და კეკლუც ცირას.
თვალს სწყურიან შენი მზერა,
გულს მოხვევნა... სიყვარული,—
სხვა რა არის ან კი, მითხარ,
ახალგაზდათ სიხარული?..
შვლის ნუკრივით წარბებს სწურავ,
იხედები ირემივით.
ჩემო ყველავ, ნუღარა მკლავ...
ხედავ, ვიწვი აბედივით!

. . . .

II

შესდეგ, ცელქო! ნუ აჰყვები
შენს გულის ჟინს... კარგი, კმარა!
თვით დევ-გმირსაც ტვინს დაუბნევს
მტლაშა-მტლუში წარა-მარა!..
ეჰ! ცხოვრების სიავ-კარგე
ჯერ არ იცი შენ რა არის!..
ვარდი დილით მონაწყვეტი
საღამოზე მკვდარი არის.
შენც ვარდი ხარ გაფურჩქვნილი,
ფუფუნებით ანაზარდი,
გატაცებით ნაჩუქარსა
ხვევნა-კოცნას თან სდევს დარდი.
დაუკვირდი შენს გრძნობასა,
შემოავლე ირგვლივ თვალი,
ნუ ენდობი ტკბილ ჰანგებსა,
ნუ იქნები მხოლოთ ქალი!

III

გამებუტე?.. ნუ, ღვთაებავ,
ცრემლებს ნუ ღვრი... მოიცადე,
ჰკუას ჰკითხე,—გულს კი არა,—
თუ მე ცუდათ დავიგვიანე!
შენ ჩემი ხარ!.. ეგ თვალები
მთელ ქვეყანას მირჩევნიან:
ცა რომ მომცენ საჩუქრათა,
დამითვალონ ვარსკვლავები,
მზე და მთვარე მითავაზონ,
მთა და ბარი—მდელოებით,
მაინც ობლათ ვიგრძნობ თავსა
და ბედკრულათ—უშენობით.
სხვა რა გინდა!.. გაიცინე?..
მარგალიტით მორთე ღაწვი?..
ოხ, შე ცელქო, რა გიხდება,
ნაწვიმარი წამწამ-თვალნი!..
მაგრამ ცრემლი თვალს არა რგებს,
გული უსწრობს გონებასა...
კაცი უნდა შორს უცქიროს,
ყოველნაირ მონებასა!
სიყვარულსაც საზრი უნდა,
ნიადაგი—უკვდავებას,
თორემ მალე შეგძულდები
და... მომაყრი ქვა და გუნდას!..
მე მუშა ვარ, მუშა მწირი,
დღე და ღამე სხვისთვის ვშრომობ...
არ მაქვს ბინა, არცა პური,
გული მომდის და ვვიშ-ვიშობ...
მხოლოთ შენ კი?.. ფურ-ირემი
უღრან ტყეში მონავარდე,
სილამაზე სიცოცხლისა ძალამ შეგკრა,
დამინახე... შეგიყვარდი!
ცირავ!.. ჩემთვის არა კმარა,
გულს ხრაკავდე გრძნობის ალზე...
სადღეისო ენაცვალოს
ფიქრს და შრომას მომავალზე!..

IV

მეთანხმები? თავსა მიკრავ,
ვით ყაყაჩო—დილის ნიავს,
ვით ყვავილი წყლის პირს მდგომი,
ყელ-ყური რომ მოუნმავს.
გენუკვები, ჩემო გვრიტო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი და ალმა-ფრენა,
შემოქმედმა ნურც მოგაკლოს
სასოება... მარად ლხენა,
მაგრამ, ტურფავ, რას გეიშველის
სურვილი და მხოლოთ ნატვრა
ერთ ადგილას ჯდომა, ფიცით,
ერთი მითხარ, ვინ გამძლარა?
მომე ხელიც, გულის სწორო,
მოვიაროთ მთა და ბარი,
ერთად ვნახოთ და გავიცნოთ
ცხოვრებისა ანაბარი.
მე კი ვიცნობ... ვიცნობ კარგათ,
ბევრი მასვა შხამ-სამსალა,
ბევრი ცრემლი მაღვრევინა...
გაჭირვებამ გამასალა...
მაგრამ შენ კი ჯერ ნორჩი ხარ,
ვით ვაზისა ქორფა ყლორტი...
სიკეთესთან ვით არ გამცნო
ავ-კაცობა და ბოროტი?!..

V

შეხე, მტრედო, მაღლა ზეცას
რა საყვარლათ ანთებულა!
დიდს და მცირე ვარსავლავებსა
ეცინებათ... ხარობს ყველა.
მათ არ ესმით შენ ჩუმობა
ციმციმებენ თავისუფლათ,
ერთი უვით მათ სამყარო,
ერთი ზეცა—თავისს უფლათ.
ნავარდობენ, ხტუნაობენ,
ეწმაწვნიან დიად მთვარეს,
ადიდებენ შემომქმედსა,
სხივებს ჰფენენ არე მარეს.
დააკვირდი დიად მნათობს
თუ სჩაგრავდეს პატარასა—
არც გზას ართმევს, არც სიცოცხლეს,
არც თავისს წილ ანდამატსა.
ისიც სცოცხლობს და ესეცა
ორივ ტურფათ ამკობს ცასა!
შეხე ერთი იმ პაწიას,
ირმის ნახტომს გაეტოლა.
შეკუნტრუშდა ქურციკივით
გადაგორდა ყირამალა!..
შუქურ ვარსკვლავს გაელიმა
ხომლსა თვალი ჩაუქნია,
მთარე ღრუბლებს მიეფარა
მარგალიტნი დააბნია!..
„პოეზია... ჰარმონია“,
გადმოეშვა მაღლიდან ძირს,
თუმცა... ქვეყნის ჭირ-ვარამსა,
ვით გაუტკბობს იგი მწარ ძირს!..

VI

ახლა შეხე მოსერნეთ,
როგორ მორთულ მოკაზმულან...
ესენიც კი ხარხარობენ,
მიმიადიან, უდარდელათ.
ელექტრონიც გზას უნათებთ
(მან ხომ მთვარეც დააბნელა)!
ერთმანეთსა წუნსა სდებენ,
ღმერთი იყოს თითქოს ყველა!
მედიდური სასახლენი
ამართულან ზეცამდინა,
ქუჩა ქუჩას ეცილება,
დარაჯთ იწვევს თავისკენა...
ეტლი ცხენს სჯობს,
ცხენი ჭტლებს...
ღარიბს პირი დაეჩჩინა!..
აბა შეხე იმის ცილინდრს—
განცხრომის ძეთ იწოდება—
არცა ხნავს და არცა სთესავს,
თანაც მუშტზე იხედება!
„ცა ქუდათ არ მიაჩნია,
დედამიწა ქალამნათა“,
ასი კაცის ჩარჩოლარი,
მგონი, ერთმა გადაყლაპა!..
თავისს დამაც გვერდზე მისდევს:
თითქოს წყრება... გაბუტულა...
სინაზისგან თვალებს ჰუტავს,
ხალხა უჩანს ჭიანჭველათ!..
ღმერთო, ღმერთო მარგალიტნი
საღ მიახიკა ამოტელა...
ხომ სჯობიან, ჩემო კარგო,
მის ცილინდრი ჩემს ნაბდის ქუდს,
და იმისი ჯიბის ქისა
ჩემ დამტვრეულ სკივრსა და ყუთს?!.
თითონ ბიჭიც როგორია!
დაკროლილა კაკალივით
აქეთ იქით იხედება,
მონადირე ალალივით!
ხოლო მე კი? გამურული
კედელ-კედელ ვიპარები...
მეფიქრება თვალი არ ვცე,
(ასე მავნეც არ ვიქნები)
თუმც მარადის გულს მიღადრავს
მათი ზნე და მათ სიბეცე!..

კ. ნადირაშვილი.

(დასასრული იქნება)

სახალხო თეატრი.

შაბათს, 4 იანვარს, ავჭალის სახალხო აუდიტორიაში ქართული სახალხო თეატრის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა ცნობილი დრამა ,,დამნაშავეა''? ეს დრამა ამას წინათაც ითამაშეს რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ჩვენის არტისტების ბ. ვ. გუნიას და კ. შათირიშვილის მონაწილეობით და უნდა გამოვტყდეთ, რომ უიმათოთ ,,დამნაშავეა''-ს წარმოდგენა სახალხო სცენაზე ან მეტისმეტი შეუგნებლობაა თავის საკუთარ ძალთა და ან დიდი გამბედაობა!..

მე ამითი იმის თქმა კი არ მინდა, რომ უარტისტებოთ შეუძლებელი იყოს ამ დრამის წარმოდგენა სცენის მოყვარეთაგან, მაგრამ ის კი დასამალი არ არის, რომ მოუმზადებლათ, გაუწვრთნელათ, როლისა და მომქმედ პირთა სულისკვეთების შეუგნებლათ, ერთის სიტყვით, ურეპეტიციოთ და უხელმძღვანელოთ ამ მშვენიერის (თავის იდეით) დრამის წარმოდგენა დიდი შეცდომაა სექციისა დ სცენის მოყვარეთა მხრივ!.. ეს თვალსაჩინო ჰყო 4 იანვრის წარმოდგენამ.

რაც უნდა მცირე და ლმობიერი საზომი ავიღოთ, მაინც დრამის მოთამაშენი დაბალნი გამოჩნდებიან. რუსები რომ იტყვიან ,,НИЖЕ ВСЯКОЙ КРИТИКИ''-ო, სწორეთ ამ წარმოდგენაზე ითქმის. ამიტომ ვერც კი ვახერხებ გამოვძებნო შესაფერი საზომი...

დრამის მთელი ზეგავლენა ხალხზე ტომას ლეერის (ბ. ჯაფარიძე) უსამართლოთ განსჯასა და მის ტანჯვაზეა დამყარებული; იტანჯება და სინიდისის ქენჯნასა გრძნობს გერბერტიც (ბ. სხირტლაძე), მოსამართლე, რომელმაც შეცდომით ტომას ლეერი კაცის მკვლელათა სცნო, და ოცი წელიწადი საპყრობილეში ამოალპო ჯანით და ღონით სავსე მშრომელი და პატიოსანი ტომას ლეერი! იტანჯება უპატრონოთ დარჩენილი ცოლი ტომას ლეერისა, (ქ. რომანიშვილი), რომელიც გაიძვერა ადოლფ კრამერის ნივთი გამხდარა და ლუდხანის მსხვერპლი შექმნილა, — იტანჯება ახალგაზდა კარლიც (ბ. ჯაბაური), შვილი ტომას ლეერისა, დედის და დის გარყვნილების მორევში რომ ხედავს... დიახ, იტანჯებიან უსამართლობის მსხვერპლნი, მაგრამ ეს ტანჯვა ჩვენის მოთამაშეებისათვის შეუმჩნეველი და შეუგნებელი დარჩენილა!.. თამაშობდენ უგულოთ, უსულოთ, როლის უცოდინარათ და მსმენელ-მაყურებელთ მარტო ამით სტანჯავდენ.

ბ. ჯაფარიძე (ტომას ლეერი) საზოგადოთ სუსტი იყო. მისგან უფრო მეტს მოველოდით, რადგანაც უცილებლათ სასცენო ნიჭი აქვს და შეეძლო კიდეც როლის შეგნება.

მართალია ტომას ლეერი ოცი წლით საპყრობილეში ყოფნამ ისე დაამაბუნა, ისე დასცა სულით, რომ თავის თავს ტომას ლეერს კი აღარ ეძახის, არამედ,—,,ოცდა-მეჩვიდმეტე ნომრის ტუსაღს'', მაგრამ იგი მაინც გულით ატარებდა თავის უდანაშაულობას, ოცნებობდა თავის ცოლშვილზე, გული სწყდებოდა დაკარგულ ბედნიერებაზე,—და, მაშასადამე, იმ დროს, როდესაც მან გაიგონა მოსამართლეთაგან ,,შენ დამნაშავე არ ხარ... თავისუფალი ხარო''! გულგრილათ ვერ დარჩებოდა. შხამნარევისა და მოსამართლეთა დამამცირებელის ამოგმინვით უნდა მიგვებგბოდა ტომასი თავის განთავისუფლების ამბავს. ბ. კ, ჯაფარიძესაც სწორეთ შხამნარევის ხმითა და თვალების გამგმირავის შეხედვით უნდა ეგრძნობინებინა მაყურებელთათვის ძლიერება იმ ტანჯვისა, რომელიც ყველა უსამართლოთ დასჯილის ხვედრია!

მოთამაშის თითოეული სიტყვა, თითოეული თვალის გადატრიალება, თითოეული ხმის კილო-კავი, თვით უკანასკნელი ამოკვნესა და სახის კუნთების შეთამაშებაც კი გამომხატველი უნდა ყოფილიყო სამართლიანობის გამარჯვებისა, შერცხვენა უნდა ყოფილიყო უსამართლობისა. ბოროტების სილის გარტყმას, მის თვალებში შეფურხებას უნდა უდრიდეს თავისის ძლიერებით ტომას ლეერის სიტყვების გამეორება: ,,გამანთავისუფლეს, ახლა—ოცის წლის შემდეგ?.. მერე სად წავიდე ცხოვრებას მოწყვეტილი?!.'' ამ უსამართლობის გამომჟღავნებაშია ჩასკვნილი დედა-აზრი პიესისა, ესაა გამომაფხიზლებელი მოსამართლეებისა და მაყურებლებისა!...

ბ. ჯაფარიძემ კი ერთფეროვანათ, უგულოთ ჩაატარა როგორც მთელი პირველი მოქმედება, ისე ეს დიდებული მომენტი და მით ტომას ლეერი გააფერმკრთალა... ვერ შეიგნო... არა უშავდა-რა დანარჩენ ორ მოქმედებაში. უფრო კი—იმ დროს, როდესაც ტომასი ფეხ-აკრეფით ეპარება თავის ცოლის მტარვალს და შეურაცხმყოფელს კრამერს და კლავს (უკანასკნელი სცენა მესამე მოქმედებისა).

ბ-ნ კ. ჯაფარიძის შესახებ სიტყვა განგებ გავაგრძელეთ, ვინაიდან სრული იმედი გვაქვს მისის დახელოვნებისა მომავალში. დანარჩენებზე მოკლეთ მოგახსენებთ.

ბ. სხირტლაძემ (გერბერტი) ამ ჟამათ როლი ყველაზე კარგათ იცოდა, სხვაფრივ კი... ვერაფერი მესცენეა. კილო, ხმა, მიხვრა-მოხვრა ერთფეროვანი აქვს. მწუხარებისა და სიხარულის გამოხატვა ვერ ეხერხება... ვერაფერი მოსამართლე იყო. ის მოსამართლე, რომელსაც გულს უწუხებს თავისი შეცდომა—ოცის წლით უდანაშაულოს დასჯა, ბ. სხირტლაძემ ვერ დაგვიხატა.

ბ-ნი ჯაბაური კარლოს როლში ,,არ[illegible] გავდა, ვიდრე დარდიმანდს, მწუხარებისაგან [illegible] და პატიოსან ვაჟკაც—კარლს, იმ კარლს, რომელსაც, სხვა გზა რომ აღარა ქონდა დედის და დის დასახსნელათ, კაცის მოკვლაც კი განიზრახა. არის პიესაში ძლიერი მომენტი კარლის არსების დასასურათებლათ და საგულისხმიერო. ეს ის მომენტია, როდესაც კარლი დედის ლუდხანაში შემოდის ქამარში ცულ-გარჭობილი (კრამერი უნდა მოკლას) და მოხუცებულ ტომასთან ბაასს დაიწყებს. ნამდვილი კარლი აძაგებს ცხოვრების სივრაგეს, მწარე ოხუნჯობით იქარვებს გულის ბოღმას, ფარავს თავის გაუბედავობას, ცეცხლს უკეთებს თავის გულისთქმას და მოხუცის დარიგების ზეგავლენით თანდათან გონებას იკრეფავს. ეს ადგილი დრამატიულია, ძლიერია, მაგრამ... ბ-ნი ჯაბაური კი ამ დროს არხეინათ ჩიბუხს შეექცეოდა... ბ ნ ჯაბაურისათვის კარლის სულისკვეთება მიუწდომელი ყოფილა... არც ჩაცმულობა ქონდა შესაფერი. უდრო-უდროვოთ ოხვრა და ბორგვა შესმენილ მაყურებელის უნებურ ღიმილსა გვრიდა... უგულოთ თამაშობდენ აგრეთვე ქ. რომანიშვილი (მართა) და ქ. ღავითაშვილი (იულია). ორივეს შეეძლო თვალსაჩინოთ აესრულებინათ თავიანთი როლები, მით უმეტეს, რომ წინათაც გამოსულან ამ როლებში და შეთვისებულიცა აქვთ თავისი სათამაშო. ალბათ საერთო უფერულობამ თუ აუცრუათ გული. ქ. რომანიშვილი ჩინებული იყო მხოლოთ იმ დროს, როდესაც იცნობს თავის ქმარს და კივილით გადაეხვევა... ამ დროს მთელმა აუდიტორიამაც დაიგმინა...

დანარჩენები ძალზე სუსტნი იყვენ *). თვით ბ-ნი გოციოძე, რომელიც თვალსაჩინო მსახიობია სახალხო თეატრისა და რომელიც ყოველთვის შეგნებულათა და დაკვირვებით თამაშობს ხოლმე, სუსტობდა კრამერის როლში, თუმცა ყველაზე ცოცხლათ ისევ ეს თამაშობდა. სახალხო წარმოდგენების რეჟისორი ბ-ნი დადიანი საპატიო მიზეზებისა გამო, რეპეტიციებს არ დასწრებია და არცა ყოფილა ხელმძღვანელი 4 იანვრის წარმოდგენისა... ურეჟისორობა და რეპეტიციების სიმცირე უმთავრესი მიზეზია დასახელებულ წარმოდგენის უფერულობისა!..

დასასრულ, კარგი იქნება, რომ წარმოდგენები დანიშნულ დროს დაიწყოს ხოლმე, თორემ ლოდინი მშრომელი ხალხისათვის საძნელოა.

აუდიტორია ხალხით გაჭედილი იყო.

ი. ც—ძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთი ,,კვალის'' საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ დიმიტრი ბებურის ძეს ცინცაძეს და ივანე ზურაბის ძეს მახარაძეს, რომელთაგან პირველმა შესწირა ლანჩხუთის საქალებო სკოლას ერთი სტოლი, ღირებული 5 მ. და გამოუწერა ერთი წლით ჟურნალი ,,Читальня народной школы'', ხოლო მეორემ შემოსწირა ლამპა, ღირებული 5 მან.

ლანჩხუთის საქალებო სამრევლო სკოლის გამგე
ბლ. მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე.
მასწავლებლები კატო ფხაკაძე, მარიამ წილოსანი.

---

*) მაგ. შმიდტის მოთამაშემ ავთიყოფი კაცის მკვლელი მილიონერი კი არ დაგვიხატა, არამედ ვიღაც ბნედიანი და მოცახცახე ადამიანი.

ი. ც.

განცხადებანი.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა, № 21.

მ. გორკის

12 მოთხრობა, ივ. გომართელის კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილით. ფასი 60 კაპ. იყიდება გამომცემელთან (თფილისში, ალექსანდროვს ბაღის პირდაპირ). ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Книж. Торг. Іос. Зах. Имедашвили. აქვე იყიდება მისივე გამოცემა № 22. **კაცი ვარ და ქუდი მხურავს**, კომედია სამ მოქ. ივ. რევ. ვაჩნაძისა.

გამოვიდა და იყიდება

ყველგან ,,ქართვ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების'' მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

I. ზოლბერი.

ბუნების ცოდნა.

26 სურათით.

თარგმანი ჰ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.

II. ი. გოგებაშვილი.

ასპინძის ომი.

ისტორიული ამბავი. ორის სურათით და ქარტით. ფასი 7 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც. ადრესი: Тифлисъ. Общество распростр. грамотности среди грузинъ.

გრ. ჩარკვიანის

ქართული კედლის

კალენდარი

1903 წ.

იყიდება ყოველგან.

ფასი 40 კაპ.

(3—1)

წარმოდგენა № 29. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 12 იანვარს 1903 წ.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

ქართული დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ჭირვეული ცოლის მორჯულება.

კომ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგმ. კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ მელანიას ოინები [illegible] ნია-ცაგარლის საბენეფისოთ.

რეჟისორი ვ. გუნია.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

1903 წელს

გაზეთი ,,**ივერია**'' გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორათაც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისთვის და ერთ თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთათ გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში—,,ივერიის'' რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიებში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათომში—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში—ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეისთან.

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში:—(ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.

საჩხერეში—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში—პართენ ნასიძესთან.

განჯაში—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზე).

გორში—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზე—10 კაპ. სტრ., მეოთხეზე—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 55 კ, 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція ,,Иверіа''.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ—(X г. изданія журнла).

,,ХОЗЯИНЪ"

Подписная цѣна: на годъ 6 руб., на полгода 3 руб., на мѣс. 60 коп. съ пересылкой.

За границу: на годъ 8 руб., на полгода 4 руб Отдѣльные нумера 20 коп.

Разсрочка по одному рублю въ теченіе **первыхъ** шести мѣсяцевъ.

Объявленія по 10 коп. за строчку петита въ одинъ столбецъ (4 столбца на страницѣ)

Подписчики въ 1903 г. получатъ безплатно слѣдующія 6 книгъ «БИБЛІОТЕКИ ХОЗЯИНА»:

1) **КРУПНЫЙ РОГАТЫЙ СКОТЪ** въ условіяхъ русскихъ хозяйствъ. Сборникъ статей покойнаго **А. А. Армферльда.** Съ портретомъ автора.

2) **ВОЗДѢЛЫВАНІЕ КАРТОФЕЛЯ** по даннымъ науки и практики. Проф. **С. М. Богданова.**

3) **КОНЕВОДСТВО.** Практическое руководство къ разведенію рабочихъ лошадей. **Ф. Ольденбурга.** Переводъ съ нѣмецкаго.

4) **РЫБОВОДСТВО.** Практическое руководство къ разведенію рыбъ. **А. Веедера.** Переводъ съ нѣмецкаго.

5) **СѢМЕНА ЛУГОВЫХЪ ТРАВЪ и КЛЕВЕРА.** Руководство къ опредѣленію и изслѣдованію сѣмянъ. **Д-ра Л. Виттмака.** Переводъ съ нѣмецкаго. В Г. Доппельмаира Съ 12 литографирован. таблицами и 25 рисунками.

6) **КУЛЬТУРА КОРЗИНОЧНОЙ ИВЫ. В. Геммерлинга.** Перев. съ нѣмецкаго. Съ 6 литографированными таблицами и 30 рис.

Контора и Редакція С.-Петербургъ. *Невскій, 92.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ (X ГОДЪ ИЗДАНІЯ)

На ежемѣсячный научно-философскій и литературный журналъ

Научное Обозрѣніе.

Подъ ред. **М. Филиппова,** при ближайшемъ участіи проф. **С. Глазенапа,** проф. **Л. Петражицкаго** и проф. **В. М. Шимкевича.**

„Научное Обозрѣніе" имѣетъ цѣлью знакомить читателей въ общедоступной формѣ съ движеніемъ научной и философской мысли.

Продолжая слѣдовать своему популярному, но въ тоже время строго-научному направленію, редакція „Научнаго обозрѣнія", при вступленіи въ десятый годъ изданія, рѣшила произвести существенныя улучшенія, путемъ привлеченія новыхъ научныхъ и литературныхъ силъ. Съ января 1903 года вводится:

НОВЫЙ ОТДѢЛЪ БЕЛЛЕТРИСТИКИ

(романы, повѣсти, драмы, стихотворенія).

Въ отдѣлѣ журнальнаго обзора редакціей обращается вниманіе на статьи, помѣщаемыя въ научныхъ и литературныхъ органахъ преимущественно иностранныхъ, причемъ имѣются въ виду въ особенности читатели, не имѣющіе возможности слѣдить за иностранною печатью.—Въ отдѣлѣ общественныхъ наукъ будутъ помѣщаться также статьи изъ области ученія о правѣ и государствѣ. Редактированіе трехъ научныхъ отдѣловъ приняли на себя: отдѣла „научныхъ новостей" проф. С. П. Глазенапъ, отдѣла соціально-юридическаго проф. Л. Петражицкій и отдѣла біологическихъ наукъ—проф. В. М. Шимкевичъ.

Въ отдѣлѣ „Народный Университетъ" (для Самообразованія) принимаютъ участіе учредители русской парижской школы Общественныхъ наукъ; проф. Ю. Гамбаровъ, проф. Максимъ Ковалевскій, проф. М. Тамамшевъ, **Е.** де-Роберти, члены одесскаго лекціоннаго комитета и другіе ученые.

Подписная цѣна: на годъ безъ доставки въ Спб. **7** р. Съ доставкой и пересылкою по всей Россіи **8** р. Разсрочка по два рубля за четверть года. За границей **10** р. Адресъ Главной Конторы: С.-П., Малая Итальянская, д. 37.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ

На еженедѣльную финансово-экономическую, торговую и промышленно-техническую газету.

„ПРОМЫШЛЕННЫЙ МІРЪ"

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой и доставкой: на годъ—**10** руб., полгода—**5** р. и четв. года—**3** р. **Подписка принимается** въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Коломенская ул., д. № 1. и во всѣхъ книжныхъ магазинахъ Пробные № № высылаются по первому требованію БЕЗПЛАТНО.

Редакторъ-Издатель **А. С. ВАШУЛИНЪ.**

При каждомъ №, независимо отъ другихъ приложеній, **подписчики получатъ по одной книгѣ.** а новые подписчики, выписывающіе также (за 1 р. 50 к., съ перес. 2 р.) первые 12 томовъ соч. Лѣскова, получатъ ихъ при первомъ нумерѣ за 1903 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА **НА 1903 ГОДЪ** (34-й годъ изданія) на ежен. иллюстрированный **ЖУРНАЛЪ** со многими приложеніями

НИВА.

Гг. подписчики „НИВЫ" получатъ въ теченіе 1903 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала «НИВА», заключающаго въ себѣ въ теченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и художественныхъ снимковъ

40 ТОМОВЪ «Сборника Нивы» (каждый отъ 10—15 листовъ. въ общемъ около 9.000 страницъ), содержащихъ:

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ВЪ 16 ТОМАХЪ АНТ. П. ЧЕХОВА

(**цѣна въ отдѣльн. продажѣ 17 р. 50 к.**), которое будетъ отпечатано четкимъ шрифтомъ на хорошо-глазированной бумагѣ и будетъ выдано въ теченіе 1-го 1903 г.

И ОСТАЛЬНЫЕ 24 ТОМА ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ Н. С. ЛѢСКОВА

(цѣна въ отдѣльной продажѣ 17 р.), значительно дополненнаго многими произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія, въ томъ числѣ: **По поводу „Крейцеревой сонаты", „Мелочи архіерейской жизни", „Расточитель"** и друг.

12 КНИГЪ „Ежемѣсяч. литератур. и популярно-науч. приложеній", содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библіографіи, музыки, смѣси, шахматовъ и шашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 200 столбцовъ текста съ иллюстраціями.

12 №№ «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ», выходящихъ ежемѣсячно. До 200 столбцовъ текста и 300 модн. гравюръ. Съ почтовымъ ящикомъ для отвѣтовъ на разнообраз. вопр. подписчиковъ,

12 ЛИСТОВЪ рисунковъ (около 300) для рукодѣльныхъ и вышильныхъ работъ и для выжиганія и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

1 **„Стѣнной календарь"** на **1903** г., отпеч. въ 9 красокъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 р. 50 к. 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—7 р. 25 к., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «ОБРАЗОВАНІЕ» (Ришельевск., № 12)—7 р. 50 к. Съ доставкой въ С.-Петербургѣ—7 р. 50 к. СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ ВО ВСѢ ГОРОДА и МѢСТНОСТИ РОССІИ 8 руб. За границу 12 руб.

Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока.

Новые подписчики, желающіе получить, кромѣ «Нивы» 1903 г. со всѣми приложеніями,—еще не вышедшіе

12 ТОМОВЪ полнаго собранія соч. ЛѢСКОВА, приложенные при «Нивѣ» въ 1902 г., доплачиваютъ единовременно при подпискѣ: безъ доставки въ СПБ. 1 р. 50 к.; безъ дост. въ Москвѣ и Одессѣ 1 р. 75 к., съ дост. въ СПБ. и съ перес. иногороднымъ и за границу—2 р., такъ что подписная цѣна составитъ: безъ доставки 1) въ С.-Петербургѣ—8 р., въ Москвѣ у Н. Печковской—9 р., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «Образованіе»—9 р. 25 к., съ доставкою въ С.-Петербургѣ—9 р. 50 к., перес. во всѣ мѣста Россіи—10 р. и за грар.—14 р.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала «НИВА» (А. Ф. МАРКСУ), улица Гоголя (бывш. М. Морская), д. № 22.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ძმ. თავართქილაძეებისა.

შავი ქვის მრეწველთა

V კრება ქუთაისში.

წერილი პირველი.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამა თვის 7 ქ. ქუთაისში, სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნებართვით, გაიხსნა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრება, რომელიც, მოსალოდნელია, გასტანს ორ კვირამდის. ჩვენ განვიზრახეთ ვადევნოთ მას თვალყური და შეძლებისამებრ გავაცნოთ იგი ჩვენ მკითხველს.

თქმა არ უნდა, რომ ასეთი კრება, როგორიც დღევანდელია, ჩვენ ცხოვრებაში სრულიათ ახალი მოვლენაა და ეს საუკეთესო დამასურათებელია მთელი ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისა, მაგრამ ეს დღეს ჩვენ არ გვაინტერესებს: ამ ჟამათ მთელი ჩვენი ინტერესი მიპყრობილია თვით კრებაზე, თუ რისთვის არის იგი მოწვეული და რა უნდა გააკეთოს მან.

იმნაირი კრება, როგორიც დღევანდელია, ორ-სამ წელიწადში მხოლოთ ერთხელ ხდება, დღემდის ეს მაინც ასე იყო*) მესამე კრება მოხდა ზაფხულში 1900 წელს, ე. ი. თითქმის $2^1/_2$ წლის წინეთ. კრებიდან კრებამდის მრეწველთა კრება (СЪѢЗДЪ) ირჩევს საკუთარ მუდმივ აღმასრულებელ ორგანოს—საბჭოს, რომელსაც წინამძღვრობს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს მოვალეობაა მოიყვანოს სისრულეში კრების მონდობილებანი, უწინამძღვროს და აწარმოვოს მრეწველთ საერთო საქმეები და დაიცვას მათი ინტერესები, რაც კერძო პირთათვის შეუძლებელია, ან მოუხერხებელი. უნდა იცოდეთ, რომ მრეწველთა კრებას და მის საბჭოს დიდი უფლება აქვს მინიჭებული დღევინდელ სახელმწიფო წესწყობილებაში, მას აქვს შედარებით ძლიერ ფართო სარბიელი თვითმართველობის ასპარეზზე, აშკარაა, თუ რა ინტერესით და გულმოდგინებით უნდა უყურებდენ მრეწველები თავის კრებას და საბჭოს, თუ როგორ უნდა აფასებდენ იმათ. გავრცელებულია საზოგადოების და პრესის ერთ ნაწილში ის აზრი, რომ ჩვენ, ქართველებს, ჯერ კიდე არ მიგვიღწევია განვითარების იმ საფეხურამდე, როცა შეიძლება დამოუკიდებლათ წარმოება თავისი საკუთარი საქმეებისა, ე. ი. უფრო მარტივათ რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ ვერ შევიფერებთ თვითმართველობას. პირადათ მე ასეთი აზრი დიდ შეცდომათ მიმაჩნია, როცა ამის მთქმელს არავითარი ბოროტი განზრახვა არ აქვს მხედველობაში და თუ შავი ქვის მრეწველთა კრება ვერ გამოიჩენს საკმარისს უნარს და შესაფერ მოქმედებას თვითმართველობის ასპარეზზე, ეს მხოლოთ ადგილობრივ მრეწველთ კლასის უსუსურობას და მოუმზადებლობას დაამტკიცებს და მეტს არაფერს.—დღეს კი მრეწველთა მთელი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მესამე კრებაზე არჩეულ საბჭოს მოქმედებაზე, ამიტომ სანამ ჩვენ დღევანდელ კრებაზე და მის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა რამდენიმეთ შევჩერდეთ მომაკვდავ საბჭოს დახასიათებაზე.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ეს რამდენიმე ხანია ჩვენ საზოგადოებაში და ჟურნალ-გაზეთობაში გაისმის ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მიმართ საყვედური, მისი უმოქმედების და უზრუნველობის ამბავი. ჩვენ ეს არ გვჯეროდა, ყოველ შემთხვევაში გაზვიადებულათ ვთვლიდით და ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს სანაქებო საბჭო ამ ზომამდე დაუდევარი და უნიჭო იყო, ის საბჭო, რომელსაც მოთავეთ ყავს ოდესმე სიმართლისათვის თავდადებული მოსარჩლე და ერთ დროს ნიჭიერ პუბლიცისტათ აღსარებული პირი. სამწუხაროთ, დღეს ჩვენ უნდა დავიჯეროთ არა თუ ის, რასაც კორესპონდენტები წინეთ ამბობდნენ, არამედ მრავალ ისეთ რამეებიც, რაც წინეთ აინუნშიაც არავის მოუვიდოდა. თვით საბჭოს მოქმედების „ანგარიში“, რომელიც მან ამ დღეებში გამოსცა, და სარევიზიო კომისიის მოხსენება, აშკარათ ყოფენ დღევანდელ საბჭოს სრულ ზნეობრივ და გონებრივ სიკოტრეს, მის სრულ შეუფერებლობას და შეუსაბამობას ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საერთო საქმეების მოწყობასა და წინამძღვრობაში. ჩვენ ვეცდებით ამ წერილში გავარჩიოთ და დავაფასოთ დღევანდელი, მესამე კრებაზე, ამორჩეული საბჭოს მოქმედება რაც შეიძლება სავსებით და ვრცლათ, მაგრამ იძულებული ვარ ეს შემდეგისათვის გადავდვა და აქ მხოლოთ აღვნიშნავთ დღევანდელ საბჭოს მოქმედების დასახასიათებლათ რამდენიმე გარემოებას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გზის მაჩვენებლათ იქნება სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც ჩვენ დავასახელებთ მხოლოთ რამდენსამე მთავარ ფაქტებს.

1. საბჭოს შესავალ-გასავლის საქმე ისე ჰქონებია მოწყობილი, რომ იქ რაიმეს გაგება თითქმის შეუძლებელია. ერთათ ერთი კასის წიგნი გავსებულია ჩანაწერით და წაშლილი ადგილებით, ასე რომ იმაზე დამყარება და იმის მიღება ყოვლად შეუძლებელია. ასეთ დაუდევრობას, თუ ამას მხოლოთ დაუდევრობათ ჩავთვლით, საბჭო ხსნის მით, რომ ქუთაისში ბუხგალტერი ვერ ვიშოვეთო; და გაუწევია კიდევაც ეკონომია: ბუხგალტერისთვის გადადებული ფული არ დაუხარჯავს სრულათ, ასე რომ მორჩენია 1,900 მანეთი:

2. ხარჯთ აღრიცხვაში სისწორით არც ერთი სტატია არ არის შესრულებული; რევიზიამ აღმოაჩინა შემდეგი: საბჭოს დაუხარჯავს ნაკლები:

მუდმივ ხარჯებიდან 111,856 მ. 12 კ.
ერთდროული . . 126,398 ,, 30 ,,

დაუხარჯავს მეტი, ვინემ ხარჯთ-აღრიცხვაში იყო:

მუდმივ ხარჯებიდან 4,513 მ. 40 კ.
ერთდროული . . 59,666 ,, 43 ,,

ამნაირათ, როგორც ხედავთ, საბჭოს 174,074 მან. და 69 კაპ. ეკონომია გაუწევია, რაც მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ იგი ყოვლად შეუსაბამო და უნიჭო ყოფილა მინდობილ საქმეში. როცა კრება თავის საბჭოს ფულის დახარჯვას ანდობდა, ეს იმიტომ კი არა, რომ მას მეტი ჰქონდა, ან და იმიტომ, რომ მას დახარჯვა ყვარებოდეს. არა, იმიტომ, რომ ფულის დახარჯვით საქმე გაკეთებულიყო, სხვადასხვა აუცილებელი საჭიროებანი დაეკმაყოფილებიათ. და თუ ეს ვერ ვერ მოახერხა საბჭომ, ეს მხოლოთ მის უნიჭობას უნდა მიეწეროს. ამას ჩვენ დაგვანახვებს იგივე სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ საბჭოს ეკონომია გაუწევია უმთავრესათ ჭიათურის საავათმყოფოს ხარჯზე, გზების და ხიდების შეკეთებაზე და უმთავრესათ იმაზე, რომ საბჭოს ვერ შეუყიდია ის მიწები, რომლების ყიდვა მისთვის კრებას მიუნდვია. იმავე დროს კი ჭიათურის საავათმყოფო მეტათ სამწუხარო მდგომარეობაშია: იგი გავსებულია ავათმყოფებით, სადაც გადამდებ სენით ავათმყოფები თითქმის ერთათ არიან არეული სხვა ავათმყოფებთან, თუმცა სხვადასხვა ოთახში, მაგრამ ისე კი, რომ გადამდებ სენის გავრცელებას არაფერი არ უშლის ხელს. საავათმყოფოს არა აქვს არც ვანა, და არც ფეხის ადგილი თვით სადგომში, ასე რომ ავათმყოფი წვიმაში, თოვლში და ყინვაში იძულებულია ცივ ჰაერზე ირბინოს. მოსიარულე ავათმყოფების მისაღები

*) გასულ წელს მარტში მომხდარი კრება იყო არა ჩვეულებრივი, მას სრულებით განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა და ამიტომ იგი სათვალავში არ მიიღება.

ოთახი, აფთიაქი, ფერშლების საცხოვრებელი ბინა მოთავსებულია სრულებით დანგრეულ შენობაში. ავათმყოფებს ვინ იცის, რას აძლევენ საჭმელათ და იმავე დროს კი საბჭო ავათმყოფების ხარჯზე 15,340 მანეთს ეკონომიას ეწევა. სახელი და დიდება ასეთ საბჭოს! მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ საავათმყოფოს ანგარიში ღმერთმა დაიფაროს: ეს ანგარიში თურმე ექიმის ჯამებია ,რომელსაც, გარდა იმისა, რომ ნახევარჯერ ქიათურაში არ არის, ანგარიშის არაფერი გაეგება. არ არის არივითარი წერილობითი საბუთი, თუ სანოვაგე ან სხვა ნივთი როგორ არის ნაყიდი, და მოდი ასეთ დაწესებულებას რევიზია გაუკეთე! ყველაფრით შემკულ ქიათურის საავათმყოფოს ექიმიც თავისებური და მეტათ ახირებული ყოლია: იმას თავისი წესი შემოუღია: თუ ერთ დღეს მივიდა საავათმყოფოში, უეჭველათ უნდა იცოდეთ, რომ ორ დღეს მას მაინც აღარ მიეკარება, თუ გინდ ამით ვინმე სიცოცხლესაც გამოასალმოს და ასეთ ექიმს საბჭო აძლევს თვეში 200 მანეთს, გარდა საჩუქრებისა და შემწეობისა!

შედარებით დიდი ეკონომია გაუკეთებია ყველაფერში «ნაქებ» საბჭოს სტიპენდიებზედაც 1900წლის კრების გადაწყვეტილებით ამ $2^1/_2$ წლის განმავლობაში საბჭოს უნდა დაეხარჯა, ე. ი. გაეცა სტიპენდიებათ 5,440 მანეთი. დაუხარჯავს კი მხოლოთ 2,560 მანეთი. აქედან სამ მოსწავლეს მიუღია სულ 960 მანეთი და ერთს 1600 მანეთი! როგორ მოგწონთ ასეთი განაწილება! ნუ თუ სამი მოსწავლე ერთ მოსწავლეთ მაინც არ ღირდა,, ალბათ იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი! ეს საბჭოს კითხეთ. ამნაირათ საბჭოს დაუზოგავს 2,880 მანეთი ღარიბ მოსწავლეთა ფულიდან! იმავე დროს საბჭო თავის,,ანგარიშში'' წერს: ,,იმ პირთა რიცხვი, რომელთაც მოისურვეს სხვადასხვა სამთო სასწავლებლებში შესვლა მრეწველთა კრების სტიპენდიატებათ, მრავალი აღმოჩნდაო'' (გვ. 5),—რაც მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო. მაშ ბარაქალა მის ბიჭობას, ბარაქალა მის გულშემატკივრობას ჩვენი ყმაწვილთაობის აღზრდაში მას დაუზოგავს და ვერ გაუმეტებია ის მცირე წვლილი, რაც ამ საქმისთვის კრებამ გადასდო.

სამაგიეროთ უნდა იცოდეთ, რომ საბჭოს წევრებს არ დაუვიწყიათ თავისი თავი: თავმჯდომარის მოადგილისთვის იმავე საბჭოს მიუცია მეტი, ე. ი. მეტი, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო ნაჩვენები, 1,651 მან. 81 კაპ. და წევრებისთვის 1,300 მან., ანუ სულ 2,951 მან. 81 კაპ., ე. ი. ის ფული, რომელიც კრების გადაწყვეტილებით ღარიბ მოსწავლეების აღზრდას უნდა მოხმარებოდა საბჭოს იმდენი [illegible] რომ თითონ ჩაუდვია ჯიბეში.

3. საბჭოს მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე გზების გაკეთება და შეკეთება, რომლებიც ისეთ მდგომარეობაშია დღეს, რომ იმაზე სიარული მხოლოთ კისრის მოტეხას უქადის ადამიანს, გაუვალ ტალახს რომ თავი დავანებოთ. მაგრამ აქ ვწყვეტ საბჭოს მოქმედებაზე ლაპარაკს. ასეთ გარემოებას, საბჭოს ასეთ საქციელს უეჭველია უნდა გამოეწვია საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება და დრტვინვა. ეს ასეც მოხდა. ჩვენთვის გაუგებარია მხოლოთ ის ტაქტიკა და ის ქცევა, რომელსაც დაადგა განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში ამ საბჭოს ერთად ერთი ხელმძღვანელი, ანუ მისი თავმჯდომარე ბ. ზდანოვიჩი. ეს ვაჟბატონი, რომელიც ერთ დროს კაცობრიობის დაჩაგრულ ნაწილს მოსარჩლეობდა და სიმართლის დროშის ქვეშ იბრძოდა, დღეს თავ-აღებული, აულაგმავ უტიფრობის გზას დადგომია. მის დროშაზე დღეს ამიერიდან აწერია: შორს მოქალაქებრივო გრძნობავ, პიროვნების პატივისცემავ! პირიქით გაუმარჯოს ლანძღვას, პიროვნების დამცირებას და გათელვას! ან მე და ან „ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო!“ ყოველივე რაც წინ ეღობება მის ეგოისტურ მიზანს, იგი ჯეკნის, სრესს და თელავს შეუბრალებლათ. იგი მსჯელობს ამ ნაირათ: მას შეუძლია ჩაიდინოს რაც სურს, შელახოს ვისი ინტერესიც უნდა იყოს, და ამისთვის მას პასუხის გებას ვერავინ მოთხოვს. პირველი ორი სხდომა ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ბ. ზდანოვიჩს თვისდასაცველათ აღარაფერი აღარ აქვს, გარდა გაბედული ურცხვობისა და თავდაუჭერელ ლანძღვა-გინებისა; მას ალბათ, სურს ამ გზით გამოიწვიოს კრებაზე უწესოება, კრება დაახურვინოს და შემდეგ ძველებურათ იპარპაშოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, დღევანდელი კრება უფრო შეგნებით მოეკიდება თავის ინტერესებს და მახეში არ გაებმება.

გარეშე მეთვალყურე

(შემდეგი იქნება).

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 января 1902 года. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ძმ. თავართქილაძეებისა.